საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 11 აპრილი. 2019 წ. №72 (8738) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუკის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

იდეა!

ვიდრე მქონეთა და არამქონეთა დაპირისპირებამდე მივალთ!



ის ფილოსოფია, რომელსაც ჩვენ დღეს მოვისმენთ, არც ჩემი ნააზრევია და არც ვინმე ჩვენი თანამედროვის. მინდა, მადლიერება გამოვთქვა თანამედროვე ფილოსოფოსის და მოაზროვნის **თამაზ ბუთხუზის** მიმართ, რომელმაც მსოფლიოს ყველა დროის ფილოსოფოსთა ზოგიერთი ნააზრევი წიგნად **„შესაძლებლის აღსრულება“** შეკრა და გაგვიზიარა საკუთარი შეხედულებები. ეს ის ფილოსოფოსები არიან, რომელთა ათასწლეულების წინათ ნათქვამი დღესაც აქტუალურია, შეუდარებელია მაშინდელი აზროვნება, რომელსაც ვერ ცვლის ვერც ჟამი და დრო და დარჩება უკუნითი უკუნისამდე.

მიგვაჩნია, რომ ასეთი საინტერესო წიგნი დიდი ხანია, არ გამოსულა საქართველოში. ჩვენ არ გვაქვს იმისი ილუზია, რომ ამ ფილოსოფიას ყველა მოქალაქე ჩაწვდება. არა, ბატონებო, ეს არ არის ყველასთვის დაწერილი. ის მოაზროვნე და პროგრესული ადამიანებისთვისაა განკუთვნილი.

არადა, ამის და ბევრი სხვა რამის ცოდნა არ აწყენდა დღევანდელ ჩვენს გზააბნეულ საზოგადოებას.

აქედან გამომდინარე, შევეცდები ოქროს ასოებით შემონახული კლასიკური ფილოსოფიის და დღევანდელი „ფილოსოფიის“ გააზრებას. მკითხველებს ბოდიშს ვუხდი აღნიშნული წიგნიდან ვრცელი ციტატების მოხმობის გამო, რომლებიც შეგნებულად არ შემიკვეცია.

იხ. 5-7 გვ.

ეკონომიკურად გაჭირვებული ქვეყნის ხელისუფალნო, ჩაილულის წყალს ნუ გაატანთ ჩვენი გამდიდრებისა და გაძლიერების რეალურ იდეას!

ბიძინა ივანიშვილი ძველ, მოღალატე „მეგობრებს“ ამხელს! ③

გია ვოლსკი: ძველი თაობა უნდა წავიდეს, მაგრამ დატოვოს პროფესიონალთა გუნდი ④

ჩვენ ერთად შევძელით, შეგვექმნა სახელმწიფო, რომელიც თვალსაჩინო დემოკრატიად ჩამოყალიბდა ორ კონტინენტს შორის და აკავშირებს ევროპას აზიასთან

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის გამოსვლა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე

ძალბატონო პრეზიდენტო,
ძალბატონებო და ბატონებო,
თქვენო აღმატებულებავ,
ასამბლეის წარჩინებულო წევრებო,

მაქვს პატივი, მოგმართოთ დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და სამართლის უზენაესობის სასახლეში.

ჩვენ ახლა მოვისმინეთ მშვენიერი მუსიკალური ნაწარმოები, ავთენტური ქართული პოლიფონიური სიმღერა, სადაც მრავალი ხმა ერთიანდება კომპლექსში, ერთმანეთს ავსებს და აძლიერებს; ავითარებს და აწინაურებს. ეს არის ქართული ეროვნული იდენტობის ძალიან ძლიერი მარკერი. როდესაც ჩემს ქართველობაზე ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა, ეს პოლიფონია მიცოცხლდება გონებაში და ძალიან სიმბოლურია, რომ დღეს გვესმის ის – ევროსაბჭოს დაარსებიდან 70 წლის იუბილესა და მასში საქართველოს გაწევრიანების 20 წლის იუბილეზე.

გუშინ – 9 აპრილს – საქართველომ 30 წლისთავი აღნიშნა იმ ავბედითი დღიდან, როდესაც 1989 წელს საბჭოთა კავშირიდან თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული ანტისაბჭოთა მშვიდობიანი დემონსტრაცია თბილისის ცენტრში – რუსთაველის გამზირზე – სასტიკად დაარბია საბჭოთა ჯარმა ტანკებისა და იარაღის გამოყენებით.

მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, მაგრამ ისე ცხადად მახსოვს, თითქოს გუშინ იყო. 1989 წლის 9 აპრილს მცირე ერი გაერთიანდა თავისუფლებისა და სუვერენული არსებობის დასაცავად. იმ დღეს ქართველმა ერმა გაბედა, შეკრებისა და სიტყვის თავისუფლებით ესარგებლა საბჭოთა კავშირში. ეს მცდელობა სისხლით ჩაახშეს, თუმცა მათი ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის არ დაკარგულა. იმ ტრაგიკული მოვლენიდან 2 წლის შემდეგ ხელი მოეწერა დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. ამ ბრძოლითა და მსხვერპლით საქართველომ დაიბრუნა თავისი ევროპული იდენტობა, რაც ასე შორი გვეჩვენებოდა 30 წლის წინათ.

ზუსტად ამ მიზეზის გამო, ჩემი დღევანდელი გამოსვლა თქვენ წინაშე ეძღვნება ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ჩემი ქვეყნის ერთიანობას და თავისუფლებას.

ბოლო 20 წლის განმავლობაში ჩემი ქვეყნის მიერ მიღწეული წარმატება ეკუთვნის საქართველოსაც და ევროსაბჭოსაც. ამიტომ, ორივე შეიძლება ვამაყობდეთ ამით.

ჩვენ ერთად შევძელით, შეგვექმნა სახელმწიფო, რომელიც თვალსაჩინო დემოკრატიად ჩამოყალიბდა ორ კონტინენტს შორის და აკავშირებს ევროპას აზიასთან. გამოწვევებით აღსავსე რეგიონში საქართველოს აქვს ამბიცია, მშვიდობიანი არსებობის წესები დაამკვიდროს და დემოკრატიის მოდელი შექმნას, რაც მდგრადი შენარჩუნების პრინციპებს დაეფუძნება.

20 წლის წინათ საქართველოს სერიოზული გამოწვევები ედგა წინ და ევროსაბჭოში გაწევრიანებისას მთელი რიგი ვალდებულებები ვიკისრეთ.

ამ ვალდებულებების ფარგლებში საქართველომ პირობა დადო: შეექმნა პირუთვნელად დემოკრატიული სახელმწიფო, გაეძლიერებინა სამართლის უზენაესობა; განეხორციელებინა სასამართლო რეფორმა; ებრძოლა კორუფციის, წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ; უზრუნველეყო გამოხატვის და მედიის თავისუფლება; დაეცვა უმცირესობები და გაეძლიერებინა ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული მექანიზმები.

საქართველოს წინსვლა აქვს ყველა ამ მიმართულებით ევროსაბჭოს სხვადასხვა ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით. მინდა, გამოვიყენო შესაძლებლობა და ქართველი ხალხის სახელით მადლობა გადავუხადო საპარლამენტო ასამბლეას, მინისტრთა კომიტეტს, ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოს, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესს, ვენეციის კომისიას, ადამიანის უფლებების უმაღლეს კომისარს და ადამიანის უფლებების მონიტორინგის სხვა ორგანოებს. როგორც უკვე ვთქვი, ბევრი რამ შევძელით ერთად.

იხ. 2 გვ.

„მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“

სტრასბურგში, ევროპის საბჭოს სასახლის წინ ზურაბ ჟვანიას ვარსკვლავი გაიხსნა.

ვარსკვლავზე ზურაბ ჟვანიას სახელთან და გვართან ერთად პოლიტიკოსის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფრაზაა დატანილი – **„მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“**. ეს ფრაზა ზურაბ ჟვანიამ 20 წლის წინათ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე წარმოთქვა, მას შემდეგ, რაც ასამბლეამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებას.

„ჩვენთვის ძალიან საამაყოა, რომ ზურაბ ჟვანიას ვარსკვლავი გაიხსნა ასამბლეის სასახლის წინ. ვარსკვლავები, როგორც წესი, იხსნება სრულიად განსაკუთრებული ადამიანებისთვის, რომლებსაც განსაკუთრებული როლი აქვთ ევროსაბჭოში შესრულებული და ეს ჩვენთვის ძალიან დიდი მოვლენაა“, – განაცხადა სტრასბურგში ვიზიტით მყოფმა პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელმა თამარ ჩუგოშვილმა.

ევროპის საბჭოს სასახლის წინ იმ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეების ვარსკვლავებია განთავსებული, რომლებსაც ევროპის საბჭოს მუშაობაში განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი.

ჩვენ ერთად შევძელით, შეგვექმნა სახელმწიფო, რომელიც თვალსაჩინო დემოკრატიად ჩამოყალიბდა ორ კონტინენტს შორის და აკავშირებს ევროპას აზიასთან

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის გამოსვლა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე

(პირველი გვერდიდან)

კონსტიტუციის ახალი რედაქციის და ყველა სხვა შედეგის განხილვისას, რამაც განაპირობა ჩვენი დემოკრატიის შენება, ყველაზე კარგად საკითხის წარმოჩენა შემიძლია ყველაზე ავტორიტეტული მსაჯულის – ვენეციის კომისიის – მოსაზრების ციტირებით: **„საკონსტიტუციო რეფორმის პროცესით სრულდება საქართველოს პოლიტიკური სისტემის ევოლუცია საპარლამენტო სისტემად ჩამოყალიბებისკენ და ეს დადებითი ნაბიჯია ქვეყნების საკონსტიტუციო წესწყობილების კონსოლიდაციისა და გაუმჯობესებისკენ, რაც დემოკრატიის პრინციპებს, სამართლის უზენაესობასა და ფუნდამენტური უფლებების დაცვას ეფუძნება“**.

ჩვენი მთავრობა პირველია მსოფლიოში, რომელმაც ერთპარტიულ დომინანტობაზე უარი განაცხადა. კონსტიტუციის ახალი რედაქცია გულისხმობს 2024 წლიდან სრულად და სუფთად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას. მანამდე საქართველო მნიშვნელოვან გარდაქმნის პროცესს გადის. ყოველივე ეს უკეთეს პოლიტიკურ ბალანსს შექმნის, მცირე პარტიებს პარლამენტში მოხვედრის უკეთეს შანსებს მისცემს.

ვამაყობთ, რომ საქართველოს ისტორიაში პირველად ავირჩიეთ ქალი პრეზიდენტი. ეს არის უდიდესი მიღწევა თანამედროვე საქართველოს ისტორიაში. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ახალი თავი იწერება. ახლა საქართველო არის საპარლამენტო დემოკრატია, სადაც მე – ქვეყნის პრემიერ-მინისტრი – ანგარიშვალდებული ვარ პარლამენტისა და მისი წევრების – ხალხის რჩეულთა წინაშე.

შედეგად, ბოლოდროინდელი რეფორმების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტი გახდა იმაზე ძლიერი, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ძლიერი პარლამენტი კი ნიშნავს ძლიერ საპარლამენტო ზედამხედველობას. ამიტომ, გვესმის რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი მოსახლეობისადმი ანგარიშვალდებულება.

სულ რაღაც 7 წლის წინათ საქართველო სერიოზული გამოწვევების წინაშე იდგა სამართლის უზენაესობისა და დამოუკიდებელი სასამართლოს მუშაობის სფეროში. მნიშვნელოვანი წინსვლა გვაქვს, რაც ყველაზე კარგად აქ, სტრასბურგში, იზომება და ფასდება. ფაქტობრივად, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო არის იმ ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესებების საუკეთესო მაჩვენებელი, რაც ადამიანის უფლებების სფეროში გვაქვს. მეტმა ადამიანმა დაიწყო სამართლის ძიება და მიღწევა ეროვნულ დონეზე, თან ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში საქმის გასაჩივრების აუცილებლობის გარეშე. ეს დასტურდება საქართველოს წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში სარჩელების მნიშვნელოვნად შემცირებული რაოდენობით. ასე, მაგალითად, 2011 წელს ევროპის სასამართლოს 395-მა პირმა მიმართა, ხოლო 2018 წელს მხოლოდ ამის მეოთხედმა.

საქართველოს უდიდესი წინსვლა აქვს კორუფციასთან ბრძოლის საქმეში და მთავრობის ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია. 90-იან წლებში საქართველო ყველაზე კორუმპირებულ ქვეყანათა შორის მოიაზრებოდა. დღეს კი ვამაყობთ, რომ ჩვენთან კორუფციის მაჩვენებელი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებია. „ღია ბიუჯეტის ინდექსით“ საქართველო მე-5 ადგილზეა – შვეიცარიისა და ნორვეგიის შემდეგ. საქართველო „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ამაყი წევრი და ყოფილი თავმჯდომარე ქვეყანაა.

ჩვენს მთავრობას მემკვიდრეობად ერგო რეპრესიული პენიტენციური მანქანის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის სისტემატური პრაქტიკა. პენიტენციური სისტემა არ მუშაობდა ჯეროვნად და გადამწყვეტ ზომებს საჭიროებდა. განხორციელებული რეფორმებით პენიტენციურ დაწესებულებებში კარდინალურად შეიცვალა მდგომარეობა. ფაქტობრივად, 2018 წელს საქართველოს პენიტენციური სისტემა მართებულად იმსახურებს გაერთიანებული ერებისა და ევროკავშირის „ადამიანის უფლებების წარმატებული შემთხვევების“ კონტექსტში ხსენებას.

საქართველომ ასევე შეცვალა დამოკიდებულება პოლიტიკური თავისუფლების, გამოხატვისა და მშვიდობიანი მანიფესტაციის უფლებების მიმართ. ეს უფლებები წინათ ირღვეოდა, ახლა კი მათი პატივისცემა სრულად უზრუნველყოფილია. საქართველოს აქტიური სამოქალაქო საზოგადოება, თავისუფალი მედია და ინტერნეტი აქვს.

მშვიდობიანი პროტესტის სასტიკი დაშლის სავალალო პრაქტიკა წარსულს ჩაბარდა და ახლანდელი მთავრობა სრულად სცემს პატივს შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლებას.

სასამართლო სისტემა უფრო მეტად რეაგირებს სიძულვილით ჩადენილ დანაშაულზე და დისკრიმინაციაზე; დამცავი მექანიზმები გაძლიერებულია.

აქ ხაზი მინდა გავუსვა 2017 წლის აპრილში საქართველოს მიერ ევროსაბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) რატიფიკაციას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და დაგმობის შესახებ. დაბოლოს, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ ძლიერი მექანიზმები შეიმუშავა ადამიანის უფლებების სფეროში. პირველად, ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ სტრატეგიული მიდგომა შეიმუშავა ადამიანის უფლებების დაცვის მიმართ. გაძლიერდა სახელმწიფო დამცველის სამსახური და ქმედითი ზედამხედველობის მექანიზმები დაინერგა საპარლამენტო დონეზე.

ჩვენ ვაშენებთ თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოს, სადაც ადამიანი არის მიზიდულობის ცენტრი, სადაც თანაბარ შესაძლებლობებს ვანიჭებთ ყველა მოქალაქეს, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა და მდგომარეობისა, სადაც ყველა მოქალაქის ხმა ისმის და მთავრობა ხალხის მისწრაფებებს გრძნობს.

ხშირად ვამბობ, რომ ორი ძირითადი გამოწვევა გვაქვს

საქართველოში: ოკუპაცია და სიღარიბე. ეს გახდა ჩემი სახელმძღვანელო პრინციპი და საფუძველი საქართველოში მთავრობის მიერ განხორციელებული ყველა რეფორმისა და ინიციატივისთვის.

მათ შორის ერთ-ერთი რეფორმა ნამდვილად რევოლუციური ან კარდინალურია. ეს არის განათლების სისტემის რეფორმა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში განათლება რეალურ სისუსტეს წარმოადგენდა და ადამიანური კაპიტალის განვითარება ჩამორჩებოდა თანამედროვე სამყაროს მოთხოვნებს.

განათლების სექტორის რეფორმისთვის ვაპირებთ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მეტი წილის გამოყოფას. ეს ინიციატივა წელს იწყება და სფეროს დაფინანსება წილობრივად მშპ-ის 6 პროცენტამდე გაიზრდება, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის მეოთხედს წარმოადგენს. ეს ვალდებულება კანონმდებლობით განისაზღვრება, რათა ყველა შემდგომმა მთავრობამ ინვესტირება მოახდინოს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში.

ყველა ამ წინსვლის მიუხედავად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისევ ადამიანის უფლებების სფეროში არსებული გამოწვევების წინაშე ვდგავართ.

ჩვენი ტერიტორიების 20 პროცენტი ოკუპირებულია; ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. 300 ათას იძულებით გადაადგილებულ პირზე მეტი ვერ ბრუნდება სახლში და ყოველდღე განვიცდით მავთულხლართების, ოკუპირებული ტერიტორიების დეპოპულაციის, ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებისა და ზოგადი მდგომარეობის პრობლემას, რაც სხვა არაფერია, თუ არა ჰუმანიტარული კატასტროფა – ამ ტერმინის ყველა განზომილებით.

ამ რეგიონების გაზრდილი მილიტარიზაცია სრული ტემპით მიმდინარეობს და ყოველწუთიერად იზრდება დეპოპულაციის მაჩვენებელი. მძიმე ჰუმანიტარული, ეკონომიკური და ადამიანის უფლებების დარღვევების გამო, ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის რაოდენობა 5-6-ჯერ შემცირდა ოკუპაციის დღიდან.

შედეგად მივიღეთ საქართველოს შუაგულში რუსეთის სამხედრო ბაზები. ჯერ ისევ ვიმყოფებით საქართველოს მოქალაქეების გატაცებების, წამებისა და მკვლელობის საფრთხის წინაშე. არჩილ ტატუნაშვილი, გიგა ოთხოზორია და 18 წლის დავით ბაშარული ბოლოდროინდელ მსხვერპლთა სახელებია.

რამდენიმე კვირის წინათ საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე – ირაკლი კვარაცხელია – უკანონოდ დააკავეს. ბუნდოვან გარემოებებში მისი გარდაცვალების მიზეზები კვლავ გაურკვეველია.

აქვე მსურს, მადლობა გადავუხადო საპარლამენტო ასამბლეას „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ მხარდაჭერისთვის. ყველანი უნდა დავირაზმოთ ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების წინააღმდეგ, რათა არასოდეს შევურიგდეთ სამართლის უზენაესობის მიზანმიმართულ უგულებელყოფას!

ჩვენმა მთავრობამ ახლახან შეიმუშავა ახალი, სრულყოფილი და ყოვლისმომცველი სამშვიდობო ინიციატივა საახელწოდებით „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“. ამ ინიციატივით ვცდილობთ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩვენი მოსახლეობა უზრუნველვყოთ წვდომით ჯანდაცვისა და განათლების გამართულ სერვისებზე, რათა მათ მიკრო და მცირე სამეწარმეო-ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობები გაუჩნდეთ, ოჯახები გამოკვებონ და მათი ფიზიკური გადარჩენა უზრუნველვყოთ.

რუსეთის ფედერაცია გამუდმებით უგულებელყოფს 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს და სამხედრო დანაყოფები არ გაჰყავს ჩვენი ტერიტორიებიდან.

ჩვენ კონფლიქტის მხოლოდ მშვიდობიანი გადაჭრის გვწამს. ეს არის ერთადერთი პოზიცია, რომელიც კონფლიქტის გადაჭრასთან დაკავშირებით გაგვაჩნია. ერთობლივი წარმატება მხოლოდ მაშინ დადგება, როდესაც იძულებით გადაადგილებული პირები შეძლებენ სახლებში დაბრუნებას.

დღეს ამ ტრიბუნიდან მინდა ვუთხრა ჩვენს ოს და აფხაზ მოქალაქეებს – ყველა ჩვენი წარმატება თქვენი წარმატებაა! ერთადერთი მომავალი, რომელიც გვესახება – თქვენთან ერთად მოიაზრება – მშვიდობითა და კეთილდღეობით გაერთიანებულ საქართველოში.

მსურს, ევროსაბჭოს მადლობა გადავუხადო საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერისთვის; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხზე აპელირებისათვის და პოლიტიკურ დღის წესრიგში მაღალ დონეზე შენარჩუნებისთვის. მადლობა მინდა, გადაგიხადოთ ამ საკითხზე მინისტრთა კომიტეტის წლიური გადაწყვეტილებისთვის და გენერალური მდივნის კონსოლიდებული ანგარიშებისთვის. დიდად ვაფასებთ მჭიდრო თანამშრომლობას და კოორდინაციას, განსაკუთრებით რწმენის განმტკიცებისა და კონფლიქტით დაშორებულ თემებს შორის ხიდების აგების მიმართებით.

მომდევნო წლის გაზაფხულზე საქართველოში „თბილისის მშვიდობის ფორუმს“ ვუმასპინძლებთ. ჩვენი მიზანია, წვლილი შევიტანოთ მთელი რეგიონის მშვიდობასა და სტაბილურობაში, ყველა ქვეყანას მივცეთ უზარმაზარი, ჯერ აუთვისებელი შესაძლებლობების გამოყენების საშუალება.

რაც შეეხება რუსეთის საწევროს გადაუხდელობის საკითხს, მტკიცედ გვწამს, რომ წევრ სახელმწიფოებს არ უნდა შეეძლოთ ევროსაბჭოს სტანდარტების დაწევის ან საერთო ღირებულებების დაკნინების შესაძლებლობა იმისთვის, რომ დაძლეული იყოს გამოწვევები, მათ შორის ფინანსური კრიზისი. საქართველო მხარს უჭერს არსებული ფინანსური სირთულეების გადაჭრისკენ მიმართულ ძალისხმევას, თუმცა საქართველოს პოზიცია უცვლელია რუსეთის მიერ საწევროს გადაუხდელობასთან დაკავშირებით – ეს არ უნდა გახდეს საპარლამენტო ასამბლეის პროცედურული წესების ან ევროსაბჭოს წესდების ცვლილების გამომწვევი ფაქტორი ან პირობა.

საქართველო, ბოლო 20 წელია, სარგებელს იღებს ორგანიზაციის სხვადასხვა უწყების დახმარებით და, მადლიერების ნიშნად, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, გაიკეთოს ევროსაბჭოს ხაზინაში ნებაყოფლობითი შენატანი 500 000 ევროს ოდენობით.

დაბოლოს, ქალბატონებო და ბატონებო, 20 წლის წინათ – 1999 წლის 27 აპრილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ აქ, ამ შესანიშნავ ქალაქში – სტრასბურგში – ევროსაბჭოში საქართველოს გაწევრიანების ისტორიულ მომენტში თავისი ცნობილი სიტყვა წარმოთქვა. მკაფიოდ მახსოვს ეს ფრაზა და დღეს – 20 წლის შემდეგ – მსურს, აქვე გავიმეორო მისი სიტყვები: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი!“

იმ ისტორიული დღიდან 20 წელია გასული და სიმბოლურია, რომ წელს ჩვენ ჩავიბარებთ ევროსაბჭოს თავმჯდომარეობას; იმ ორგანიზაციის თავმჯდომარეობას, რომელიც ჩვენი გზის მთავარი მხარდამჭერია და ახლა ჩვენი ჯერია, მივიღოთ ევროსაბჭოს „ჩირაღდანი“ და მომდევნო თაობებს გადავცეთ.

დიდი მადლობა!

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲫᲕᲔᲚ, ᲛᲝᲚᲐᲚᲐᲢᲔ „ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ“ ᲐᲛᲮᲔᲚᲡ!

ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲓᲘ 9 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲓᲐᲜ (ᲢᲔᲚᲔᲙᲝᲛ�პᲐᲜᲘᲐ „ᲘᲛᲔᲓᲘ“)

...**ᲗᲥᲕᲔᲜ** თუ მხედველობაში გყავთ შავგულიძე, ხუხაშვილი, უსუფაშვილი, მე გავიხსენე ის, რაც უკვე დაასაბუთა დრომ. ესენი ჩვენი თანაგუნდელები იყვნენ. შალვა შავგულიძე „ქართული ოცნების“ წევრი იყო, შემდეგ გადავიდა ალასანიასთან, მაგრამ ისიც იყო კოალიციის წევრი, გახსოვთ კარგად „თავისუფალი დემოკრატები“ და დღეს „ნაციონალური მოძრაობით“ ირჩევა, დავიჯეროთ, რომ ეს კაცი მაშინ „ნაციონალურ მოძრაობას“ ოპონირებდა? მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ ვინც ჩამოვთვალე — გუბაზ სანიკიძე... დავიჯეროთ, რომ რეალურად ოპონირებდა „ნაციონალურ მოძრაობას“? მე მაშინ მოვედი და, ჩვენ მთელმა გუნდმა მოვახერხეთ გაერთიანება ყველა ძალის, გამარჯვების შემდეგ ვინც ზედაპირზე იდო „ნაციონალურ მოძრაობასთან“ თანამშრომლობის გამო მაგალითად ნათელაშვილი, ჩვენ მასთან თანამშრომლობაზე თავიდანვე უარი ვთქვით. ვისზეც კი შეიძლებოდა, რომ დაგვჯერებინა, ესენი რეალურად იბრძოლებენ საქართველოს განვითარებისთვის თუ უარს იტყოდნენ „ნაციონალურ მოძრაობაზე“ და მართლაც გაუწევდნენ ოპონირებას. კიდევ შემიძლია გავაგრძელო ის სია და ოთხეული არ არის მხოლოდ, კიდევ შემიძლია ასეთი სია ვინც იყვნენ ჩვენი თანაგუნდელები და რეალურად „ნაციონალურ მოძრაობას“ ასხამენ ხოტბას. ე.ი. არაფერი არ უნდა გამოვრიცხოთ, ეს მაქვს მხედველობაში. ამავდროულად მე არ მინდა დღეს ვაკადრო ჩემს თანაგუნდელებს, რომ მათთან თანამშრომლობენ, მაგრამ მიზეზს რომ ვერ ამბობენ, რეალურ მიზეზს, თუ რატომ გადიან და რა უნდათ მათ და ვერც გარედან ვერ ასაბუთებენ...

ის რომ ნახოთ თქვენ, როდესაც გადამდგარი ბესელია როგორ ირჩევდა მოადგილედ გედი ფოფხაძეს, იურიდიულ კომიტეტში როგორ სთავაზობდა გოგიჩაიშვილს თავმჯდომარეობას, გაგიგვირდებათ, იქ იმდენი დარღვევა იყო, მე მათ ადგილას შემრცხვებოდა. და ასევე ხდებოდა გუნდის შიგნითაც, როდესაც მიმდინარეობდა განხილვა კრიტერიუმებთან მიმართებაში, როგორი უნდა იყოს კრიტერიუმი მოსამართლეების არჩევის. ყველა მათი წინადადება მკვეთრ წინააღმდეგობაში მოდიოდა კონსტიტუციასთან. მე პირადად ვუთხარი, რომ ეს სირცხვილია-მეთქი, ელემენტარული იურიდიული ცოდნა ხომ უნდა გამოამჟღავნო...

ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲑᲠᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲬᲧᲔᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲒᲕᲐᲩᲣᲛᲐ!

— ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ უმრავლესობის ყოფილი წევრი ეკა ბესელია ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს შესახებ.

„გაბრაზებული და ნაწყენია იმიტომ, რომ ჩვენ ვერ გაგვაჩუმა. ბიძინა ივანიშვილმა მოინდომა ჩემი გაჩუმება ხათრის გამო და უკაცრავად, მაგრამ, როცა საქმე ამ ქვეყნის მომავალს, იდეალებს და სამართლიანობას ეხება, მე შვილზე და ძმაზე ძვირფასი არავინ მყავს ცხოვრებაში და მათ გამო ვერ გავჩუმდი. ძალიან არაგულწრფელი იყო იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა ჩემი პარტიიდან წასვლას და მან არ ისაუბრა იმის შესახებ როგორ მოხდა ჩემი გადადგომა, რატომ მივიღე ეს გადაწყვეტილება“, — განაცხადა ბესელიამ.

„ᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ“ ლიდერი **დავით უსუფაშვილი** ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა:

„აი, ეს იყო 2019 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური ლიდერის გამოსვლა. 30 წლისთავს ამ პოლიტიკური სტანდარტით, ამ მორალური ღირებულებებით და ამ სახელმწიფოებრივი მასშტაბით შევხვდით. 30 წელი ამისთვის გვიწვალია ყველას, მათ შორის თავად ივანიშვილსაც. შეუძლებელია, ამის გამო გაუსაძლისი ტკივილი არ გვეუფლებოდეს“.

გირგვლიანის საქმეში შავგულიძე ყოფილა მიშას მზაკვარი თანამზრახველი და მურუსიძე ყოფილა მიშას უცოდველი მსხვერპლი. ამ აზრის კულტივირებას ცდილობს საქართველოს პოლიტიკური ლიდერი პირადად. ხომ გასაგებია, რა სჭირს თავად ამ ლიდერს, რა დღეშია ხელისუფლება მისი ლიდერობით და საით მიექანება ქვეყანა ამ ხელისუფლების ხელში?

პირადად მე რაც მეხება, აქ ყველაფერი წესრიგშია. კენტ რიცხვებში ბიძინა მამხელს ხოლმე მიშისტობაში და ლუწ რიცხვებში მიშა — ბიძინისტობაში. მე კი იქვე ვდგავარ, სადაც ვიდექი მათ პოლიტიკურ მოვლინებებამდე დიდი ხნით ადრე.

ამასობაში, ბიძინამ თავისი წერილით პატიოსნად გვამცნო, რომ ეშმაკი მყავს შემოჩენილი და მე კი არა, „ის ყოფს“ ჩემი მეშვეობითო. გუშინაც „ის“ მძლავრობდა. ამიტომ, არგუმენტებით დისკუსია აზრს კარგავს. ლოცვა თუ შელოცვა — საკითხავი ესღა რჩება...“, — წერს დავით უსუფაშვილი.

ᲙᲔᲜᲢ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲛᲐᲛᲮᲔᲚᲡ ᲛᲘᲨᲘᲡᲢᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲚᲣᲬ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ ᲛᲘᲨᲐ - ᲑᲘᲫᲘᲜᲘᲡᲢᲝᲑᲐᲨᲘ

ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲑᲠᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲬᲧᲔᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲒᲕᲐᲩᲣᲛᲐ!

ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲑᲘᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚ 57 ᲝᲯᲐᲮᲡ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲑᲘᲜᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐ

ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲑᲘᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ დაზარალებულ 57 ოჯახს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და მდინარე მტკვარს შორის მდებარე დასახლებაში საცხოვრებელი ფართები გადაეცა. თბილისის მერი კახა კალაძე დაზარალებულ ოჯახებს შეხვდა, ახალმოსახლეობა მიულოცა და საცხოვრებელი ბინების გასაღები გადასცა.

დედაქალაქის მერიამ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული 57 ოჯახისთვის ფართების გადაცემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება რამდენიმე კვირის წინ მიიღო. ოჯახების შერჩევის მთავარი კრიტერიუმი სხვა შემთხვევების მსგავსად, დაბალი სარეიტინგო ქულა იყო.

ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘᲡ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲖᲔ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲘᲓᲐᲜ ᲐᲦᲓᲒᲔᲑᲐ

ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘᲡ ᲮᲘᲓᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲜᲐᲬᲘᲚᲖᲔ საავტომობილო მოძრაობა დღეიდან აღდგება. დღის ბოლომდე პირველი ეტაპის სამუშაოები დასრულდება, რომლის შემდეგაც რეაბილიტაციის მეორე ეტაპი დაიწყება.

ვახუშტის ხიდის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს, რომელიც მიმდინარე წლის იანვარში დაიწყო, თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური ახორციელებს. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ახალი კონსტრუქციის, სავალი ნაწილის, სადეფორმაციო ნაკერებისა და რკინა-ბეტონის თვალამრიდების მოწყობა. ასევე გარე განათების ქსელის, ხიდთან მისასვლელი სანიაღვრე ჭების, დაზიანებული კედლების რეაბილიტაცია და სანაპირო ბურჯების დანაგვიანებული შიდა სივრცის დასუფთავება. პროექტის განხორციელებაზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან 2 394 434 ლარი დაიხარჯება.

ᲗᲥᲣᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲔᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲯᲐᲜᲡᲐᲚᲘ ᲮᲔᲔᲑᲘ ᲘᲭᲠᲔᲑᲐ

ᲐᲛᲘᲡ შესახებ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა გიგა გიგაშვილმა ისაუბრა.

მან მედიას დაავადებული ხეების ამსახველი ფოტომასალა აჩვენა, სადაც ხე ვიზუალურად ჯანსაღად გამოიყურება, თუმცა რეალურად, მისი ქერქის ქვეშ სხვა მდგომარეობაა.

„კიდევ ერთხელ გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, რომ დაავადებული ფიჭვების ნაცვლად იჭრება ჯანსაღი ფიჭვები და თითქოს ეს ტერიტორიები უნდა იქნეს სამშენებლოდ გამოყენებული, რაც სიცრუეა. დაახლოებით სამი კვირის წინ იყო სპეციალური კომისიის სხდომა, სადაც განხილული იყო ეს საკითხი. სხდომაზე მოწვეული იყო, როგორც დედაქალაქის მერის მოადგილე, ასევე, ყველა ჩართული სამსახური, რომელიც ამ პროექტს ახორციელებს. სხდომაზე წარმოდგენილი იყო ის კვლევები, რომელიც ასახავს დედაქალაქში დაავადებული ფიჭვების კუთხით არსებულ მდგომარეობას. ასევე, წარმოდგენილი იყო დედაქალაქის გეგმა, თუ როგორ აპირებს ამ პრობლემის მოგვარებას მუნიციპალიტეტი. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი ამ შეხვედრას არ დასწრებია“, — განაცხადა გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲙᲠᲫᲐᲚᲐᲕᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **მოქალაქეების ნაწილს ოკუპირებულ აფხაზეთში მემკვიდრეობის მიღების უფლება აღარ ექნება. შესაბამისი კანონი პირველი მოსმენით მიიღო აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. პარლამენტმა.**

ინიციატივა ე.წ. დეპუტატს რაულ ლოლუას ეკუთვნის. მისი თქმით **„აკრძალვა, პირველ რიგში იმ მოქალაქეებს შეეხებათ, რომლებიც ომში მონაწილეობდნენ ან ქართველებს ეხმარებოდნენ.“** ლოლუამ ე.წ. კანონპროექტზე საუბრისას საქართველო ოკუპანტად მოიხსენია: **„ჩვენ მოგვმართეს ვეტერანებმა და მოქალაქეებმა, რომლებმაც გვითხრეს, რომ მათთან მიდიან ქართველი ეროვნების ადამიანები, რომლებიც ომამდე აფხაზეთში ცხოვრობდნენ, შემდეგ კი აფხაზეთი დატოვეს და ქონების დამტკიცებას ცდილობენ, იფორმებენ ქონებას ნოტარიუსის და სასამართლოს საშუალებით. ამიტომ ჩვენ გამოვდივართ ინიციატივით, შევცვალოთ კანონი და ავუკრძალოთ მემკვიდრეობის მიღება იმ ადამიანების ოჯახის წევრებს, რომლებიც აფხაზეთის სუვერენიტეტის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მონაწილეობდნენ აფხაზეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში ან ეხმარებოდნენ ოკუპანტ ძალებს“,** — განაცხადა ლოლუამ.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ოპონენტების უმრავლესობას როგორც მავნებელს ისე განიხილავს, რომლებსაც სათავეში მოსვლა სწყურიათ და სპეკულირებენ რეალურად არსებული სოციალური პრობლემებით. გიორგი ვოლსკი იმედოვნებს, რომ 2024 წელს ვითარება შეიცვლება და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვლენ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც არ იქნებიან დამძიმებული პირადი ურთიერთობებით და შეძლებენ კოალიციური პასუხისმგებლობის აღებას, რომელიც უფრო დაახლოებული იქნება ევროპული პოლიტიკის კულტურასთან.

გიორგი ვოლსკი დღეს ჩვენი სტუმარია.

გია ვოლსკი: ძველი თაობა უნდა წავიდეს, მაგრამ დატოვოს პროფესიონალთა გუნდი

რა ცუდია, როცა ოპონენტი მავნებელია!

— „ქართული ოცნების“ გარშემო მიმდინარე მოვლენების პარალელურად პარტიამ ახალი სახეების ძიების პროცესი დაიწო, თუმცა თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ დღეს „ქართული ოცნება“ არ არის მიზიდულობის ცენტრი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანს არ სურს, პოლიტიკური კარიერა დაუკავშიროს „ქართულ ოცნებას“. რა რესურსი აქვს დღეს მმართველ გუნდს, რომ წარმატებით განახორციელოს ახალი სახეების მოზიდვის პროცესი?

— არც ჩვენ ვუწინასწარმეტყველებთ ჩვენს ოპონენტებს განვითარების რაიმე პერსპექტივას, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს რას ვუწინასწარმეტყველებთ ეს მეორეხარისხოვანი საკითხია. საერთოდ, განახლება, კადრების შერჩევა და საკადრო ხაზის შექმნის ტრადიცია ჩვეულებრივი ამბავია, ეს არ ახასიათებს მარტო პარტიულ ორგანიზაციას, ეს ნებისმიერი ორგანიზაციისათვის აუცილებელი პირობაა. საკადრო საკითხებზე მუდმივად უნდა იმუშაო. მთავარია, მაღალი ხარისხი და საზოგადეობის მხარდაჭერა შენი საქმიანობის გამო. სწორად არ მიმაჩნია, საკადრო თემასთან დაკავშირებით გარკვეული აჟიოტაჟი იყოს მუდმივად. ახალგაზდებიც არიან, არიან ისეთებიც, რომლებსაც გარკვეული რესურსი გააჩნიათ და არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ პარტიულ-პოლიტიკურ თემებზე და არიან ადამიანები, რომლებიც თავის საქმის ექსპერტები არიან და, რასაკვირველია, „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობაზე არავინ იტყვის უარს.

— რამდენად რთულია ახალი სახეების მოზიდვის პროცესი და როგორ წარმოგიდგენიათ „ქართული ოცნების“ ახალი გუნდი, რომელიც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე იქნება „ოცნების“ სახე, იქნება ძველი გუნდი, თუ მთლიანად განახლდება მმართველი ძალა?

— მე, პირადად 2011 წელს პოლიტიკაში „ქართული ოცნებიდან“ მოვედი. რასაკვირველია, გამოცდილება საკმაოდ საპასუხისმგებლო ადგილებზე მუშაობისას შევიძინე და საკმაოდ წინააღმდეგობრივი პერიოდი იყო, მაგრამ ამ გამოცდილებით მოვედი. ასეთი ადამიანი ბევრია. თუკი პროპაგანდა და ახალი სახეების მიმართ ჩვენი ოპონენტების ლაშქრობა გადაიზარდა პერმანენტულ, დაუღალავ პროპაგანდისტულ სტილში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ წარუმატებლად იმუშავეს მაგალითად, ევროინტეგრაციის პროცესებზე, ან სერთაშორისო ურთიერთობებზე. არა მგონია ეკონომიკის, ან ფინანსების დარგში რომან კაკულია იყოს სუსტი, ან ირაკლი კოვზანაძე. საკადრო თემატიკის გაპრიმიტიულება გარკვეული ტრენდია, რომელიც ძალიან ადვილად შემოიტანეს საინფორმაციო სივრცეში ჩვენმა ოპონენტებმა — აი, ეძებენ კადრებს, CV-ის შემოწმების დონეზე დაჰყავთ ეს პროცესი, რომელიც ნებისმიერი პარტიული ორგანიზაციისათვის არის ჩვეულებრივი ამბავი.

— საკადრო შევსება უკავშირდება იმ დაპირისპირებას, რომელიც მმართველ გუნდში ვითარდება? ახალგაზრდები ძველების წინააღმდეგ — ასეთი შეფასება აქვს ბესელია-კობახიძის დაპირისპირებას...

— ასეთი დაპირისპირება — ახალგაზრდული და ძველი ფრთა — ასეთი გაყოფა არ არსებობს. აქ არის საკითხები და ამ საკითხების ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა. ძველი და ახალი ფრთის თემა არ არის და ესეც თავსმოხვეული გარკვეული კლიშეა, რომელიც უფრო საინტერესოდ ჟღერს, ვიდრე რეალური სიტუაცია. თქვენ მაინც იმ ხაზით გინდათ საუბრის წაყვანა, უკავშირდება თუ არა განახლება დაპირისპირებას, თითქოსდა ამოვწურე ეს თემა.

თუ მაგ ხაზით გინდათ საუბარი, კი ბატონო, გიპასუხებთ, გეტყვით, რომ საკადრო შევსება, კადრებთან მუშაობა არანაირად არაფერს არ უკავშირდება. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რომ ეს არის ჩვეულებრივი პროცესი, რომელიც ყველა უწყებას ახასიათებს. ეკა ბესელია, გედი, ან სხვები წავიდოდნენ, არ წავიდოდნენ, ეს არ ნიშნავს, რომ სადღაც სიცარიელე გაჩნდა და ის სიცარიელე უნდა შეივსოს. ეს დამოუკიდებელი პროცესია.

— რამდენად გადამწყვეტი იქნება ამ პროცესში ივანიშვილის როლი, ისევე როგორც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე?

— ბიძინა ივანიშვილი პარტიის თავმჯდომარეა და რასაკვირველია, მისი როლი იყო, არის და მომავალშიც დიდი იქნება. მაგრამ საერთოდ ჩვენთან პოლიტიკურ ველზე სიტუაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება, არანორმალური სიტუაცია შეიქმნა. ბიძინა ივანიშვილი არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად იცხოვროს და აბსოლუტურად არ იყოს დამოკიდებული არანაირ სახელმწიფო პროცესებზე, ან მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებაზე, მისთვის გზა ყველგან ხსნილია. რასაკვირველია, ეს ადამიანი სხვა პრინციპებით და სხვა პათოსით ცხოვრობს ამ ქვეყანაზე და ქვეყანა, სამშობლო სტკივა.

ძალიან ბევრი ადამიანი ვიცი, რომელსაც ეს რიტორიკა გააჩნია, მაგრამ რეალურად პოლიტიკას როგორც კარიერულ სფეროს, ისე განიხილავს. ამ მხრივ „ქართული ოცნება“ მნიშვნელოვნად განსხვავდება თავისი ოპონენტებისგან. ჩვენთან პოლიტიკა არ განიხილება როგორც გარკვეული პროფესია. ერთი მხრივ, შეიძლება ეს არც იყოს კარგი, იმიტომ, რომ პოლიტიკური „არსება“, ეს გაგება არის გარკვეული სტანდარტი პოლიტიკურ წრეებში, გადახედეთ განვითარებულ დემოკრატიებს, სადაც კონკრეტული პარტიები თავისი ინტერესებით არიან ჩამოყალიბებული და არ უშვებენ არავითარ გადახვევას გარკვეული მიმართულებიდან. „ქართულ ოცნებაში“ ორი მთავარი ნიშანია, პირველ რიგში - პატრიოტიზმი, ქვეყნის ერთგულება და პროფესიონალიზმი.

აქ არ არის აუცილებელი, რომ შენ მაინცდამაინც „ქართულ ოცნებაში“ პარტიულად იყო გაწევრიანებული. შეიძლება დამახასიათებელი ნიშანი არ არის პოლიტიკური გუნდისთვის, მაგრამ თავად ბიძინა ივანიშვილია ასეთი. „ქართული ოცნება“ ეს არის კარგად შერჩეული პირობითი სახელი იმ გუნდისა, რომელიც ამ რთულ სიტუაციაში ფიქრობს უშველებელი გამოწვევის ქვეშ მყოფი პატარა ქვეყნის გამოწვევაზე და გადარჩენაზე. არავითარი სხვა პროცესი, პოლიტიკური კარიერის გაკეთების, წინსვლის, ან რაღაცის მოხვეჭის აქ არ არსებობს. სწორედ ამ რეალურ სურათს უტევენ და თუ სადმე ტალახის სროლა უნდათ რაიმე მიმართულებით, სწორედ ამ მიმართულებაზე არის მთავარი შეტევა, იმიტომ, რომ რეალურად ეს არის დიდი უპირატესობა, რომელიც „ქართულ ოცნებას“ სხვა პარტიებისგან განსხვავებით გააჩნია.

— როგორი იქნება „ქართული ოცნების“ ათეული და სად იქნება გიორგი ვოლსკი, იქნება პოლიტიკაში, თუ პოლიტიკის გარეთ, როგორც რიგითი მოქალაქე?

— არ ვიცი. მე მგონია, რომ რიგითი მოქალაქე ნებისმიერი პოლიტიკოსია, ჩვეულებრივი ამბავია.

— პოლიტიკიდან მიდიხართ?

— იცით რა, ერთხელ იყო საუბარი თქვენს კოლეგასთან იმის თაობაზე, რომ პროპორციული სისტემა ჯობია, თუ შერეული. მე ვამბობ, რომ შერეული სისტემა არის სისტემა, რომელიც დიდი ალბათობით გულისხმობს იმას, რომ გამარჯვებული პარტია 51%—იან ბარიერს გადალახავს. პარლამენტში 51%—იანი ბარიერის გადალახვა ნიშნავს იმას, რომ პარტიას მთავრობის დაკომპლექტების საშუალება მიეცემა. პროპორციული არჩევნებით ასეთი პერსპექტივა, პრაქტიკულად, შეუძლებელი ხდება, მით უმეტეს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში.

დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე წინა პლანზე წამოწეული არც ერთი პარტია არ არის მზად იმისთვის, რომ მეორე ოპონენტთან ერთად შექმნას მთავრობა და აიღოს კოალიციური პასუხისმგებლობა, დღეს ასეთი არ არსებობს. ამის გამო პროპორციული არჩევნების ჩატარება პრაქტიკულად დიდი საფრთხეა ჩვენი ქვეყნისთვის. მაშინ ერთმა ჟურნალისტმა მკითხა, 2024 წელს რატომ დაუშვით პროპორციული არჩევნებიო, რაზეც ვუპასუხე, რომ იმედია, 2024 წლისთვის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვლენ პოლიტიკური პარტიები, ახალი თაობა, რომლებიც არ იქნებიან დამძიმებული პირადი ურთიერთობებით და შეძლებენ კოალიციური პასუხისმგებლობის აღებას და უფრო დაახლოებული იქნება ევროპული პოლიტიკის კულტურასთან. სწორედ ახლახან გერმანიაში ერთ—ერთმა პარტიამ ვერ აიღო უმრავლესობა, მთავრობის შეუქმნელობის გამო 3-4-თვიანი კრიზისი იყო, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს, რომ გარკვეული კოალიცია შეექმნათ პოლიტიკურ გუნდებს. ასე დააკომპლექტეს მთავრობა.

— ჩვენთან ეს პერსპექტივა ჯერჯერობით არ არსებობს...

— მაგრამ სურვილი იმისა, რომ ასეთი პერსპექტივა იარსებებს, ძალიან დიდია. მცირე რესურსების და ამდენი გამოწვევების მქონე ქვეყანას, რასაკვირველია, პასუხისმგებლიანი მართვა სჭირდება. თუნდაც პოლიტიკურად დაპირისპირებული პარტიები უნდა პოულობდნენ საერთო ენას, როდესაც საქმე კრიზისის არიდებას ეხება. დღეს ასეთი პერსპექტივა არ არსებობს.

დღეს, მე ჩვენი ოპონენტების უმრავლესობას განვიხილავ როგორც მავნებლებს, რომლებსაც სწყურიათ სათავეში მოსვლა და ამ სურვილს, მისწრაფებას ფუთავენ რაღაც განცხადებებით, სპეკულირებენ რეალურად არსებული სოციალური პრობლემებით. იმედი მაქვს, რომ 2024 წელი ასეთი არ იქნება. როდესაც ჟურნალისტმა დამისვა შეკითხვა: თქვენ სად იქნებით ამ დროსო, რასაკვირველია, მე ვერ ვუპასუხე, რომ იქ არ ვიქნებოდი. რასაკვირველია, ძველი თაობა უნდა წავიდეს, მაგრამ დატოვოს ძალიან კარგი, უფრო გაწმენდილი, სუფთა და უფრო მაღალი დონის პროფესიონალთა გუნდი.

— ეს არ ნიშნავს იმას, რომ 2020 წელს არ იქნებით პარლამენტში?

— მართალი გითხრათ და შემიძლია დავიფიცო, რომ არ ვგეგმავ ხვალინდელ და ზეგინდელ დღეს, მით უმეტეს, როგორც გითხარით, პოლიტიკური კარიერის თემა არ არის ის ხაზი, რაც ჩემს ცხოვრებას ამოძრავებს. მზად ვარ, ვემსახურო ქვეყანას და ნებისმიერ დროს გავაკეთო იგივე, მაგრამ გააჩნია, როგორი ვითარება შეიქმნება. პოლიტიკურ ასპარეზზე გეგმები არ მაქვს, გეგმები მაქვს ხვალისთვის. სწორედ ახლა ვზივარ და ჩემი აპარატის ხელმძღვანელთან ერთად ვგეგმავ მომავალი კვირის განრიგს.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

მუნიციპალური ტრანსპორტის მძღოლების რიგებს ექვსი ქალი შეემატა

მუნიციპალური ტრანსპორტის მძღოლის პოზიციაზე კიდევ ექვსი ქალი დასაქმდა, - ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისი თქმით, ექვსივე ქალი „თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში“ გადამზადების შესაბამისი პროგრამის წარმატებით გავლის შემდეგ დასაქმდა.

ქალებისთვის ავტობუსის მძღოლის სასწავლო კურსის განხორციელება გასული წლიდან დაიწყო. სწავლება „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (E-BRD) შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობდა, რომელიც გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას ისახავდა მიზნად.

სასწავლო კურსი 25-მა ქალმა გაიარა, რომელთაც შესაძლებლობა ჰქონდათ, 3 კატეგორიის მართვის მოწმობა აეღოთ. კურსი და მართვის მოწმობის გამოცდის ღირებულება პროექტის მიერ ანაზღაურდა.

ვიდრე მქონეთა და არამქონეთა დაპირისპირებამდე მივალთ!

კონცეფცია-პროგრამა „წყალი – ეროვნული სიმდიდრე“



(პირველი გვერდიდან) **დავიწყოთ დღევანდელი მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხით – „სიმართლე და სამართალი“.**

„49 საუკუნის წინანდელ ნაშრომში „ჰერაკლეოპოლელი მეფის სწავლება შვილისადმი“ ავტორი გვარწმუნებს, რომ **ფარაონს მოეთხოვება, არ გააკეთოს არაფერი არასამართლიანი, უკანონო. ირღვევა ეს პრინციპი, ირღვევა – სახელმწიფო.“**

როგორ დავუკავშიროთ ეს დღევანდელობას?!

ყველა პარლამენტარს, თითოეულ კანონმდებელს ეს არა მარტო წაკითხული უნდა ჰქონდეს, არამედ ამით უნდა ხელმძღვანელობდეს!

თუ სახელმწიფო მოღვაწემ სოლონმა 2500 წლის წინათ მოახერხა და ამით განახორციელა სასამართლო რეფორმა და შეაჩერა სახელმწიფოს ნგრევა, იქნებ ჩვენც ეს გზა აგვერჩია?! თუ არა და, უკეთესი გამოსავალი თქვენ შემოგვთავაზეთ, ბატონებო!

„სოლონი (დაახლოებით ძვ. წ. აღ. 638-559) – ცნობილი ათენელი რეფორმატორი, სახელმწიფო მოღვაწე და კანონმდებელი, პოეტი. ეს მოაზროვნე განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის. ის იყო ხიდი დემოსსა (ხალხსა) და დიდგვაროვანთა შორის. ხალხმა სოლონი არქონტად (ქალაქ-სახელმწიფოებში უმაღლესი თანამდებობის პირი) აირჩია და არისტოკრატიასა და ხალხს შორის შუამავლის როლი მიანიჭა. მან შექმნა ოთხასთა საბჭო და ამით არეოპაგი (ათენის უმაღლესი პოლიტიკური და სასამართლო ორგანო) – არისტოკრატიის საყრდენი შეარყია. სოლონმა საბერძნეთში ცენზირებული დემოკრატია დაამკვიდრა. თავის ელეგიებში ის წერს: „მე, როგორც მგელი, ვტრიალებდი ძაღლთა ხროვაში“. მას საზოგადოების ურთიერთდაპირისპირებული სოციალური ფენები ჰქონდა მხედველობაში. სოლონი მათ შორის ჰარმონიის დამკვიდრებას ცდილობდა, რათა სახელმწიფო არ დანგრეულიყო. მან მქონეთა და არამქონეთა შორის კაბალური დამოკიდებულება აკრძალა. სოლონი მიხვდა, რომ სახელმწიფო, უპირველეს ყოვლისა, ინგრევა შიგნიდან და ეს ნგრევა უკიდურესად გამდიდრებულ და ულარიბეს ფენათა შორის დაძაბულობის გამწვავებით იწყება...“

ათასწლეულების წინანდელი ეს მდგომარეობა დღევანდელ საქართველოს მოგვაგონებს. თუ მაშინ იპოვა სოლონმა გამოსავალი, ნუთუ ჩვენში ერთი თანამედროვე სოლონი ან სოლომონი არ გამოჩნდება?!

სადავო საკითხი როგორ მოვაწესრიგოთ? – სოლონივით!

აუცილებელ საჭიროებად უნდა მივიჩნიოთ ეროვნული ქონების საერთო სარგებლობაში მოქცევა, რომელიც მდიდრებსა და ღარიბებს შორის თანაბრად იქნება გადანაწილებული. ღარიბი დაიცავს მდიდარს და მდიდარი დაიცავს ღარიბს, იმიტომ, რომ აქ მათი საერთო ინტერესი იქნება ჩადებული. ორივე დაიცავს ერთმანეთის ინტერესს თანაბრობის პრინციპიდან გამომდინარე, რაც არაფრით არ ეწინააღმდეგება ბუნებრივ სიმართლეს, ანუ ბუნების კანონზომიერებას. სხვა შემთხვევაში ხდება დაპირისპირება მქონეთა და არამქონეთა შორის და, როგორც ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, არამქონენი იგებენ.

კანონი არის შემოქმედებითი, ბუნებრივი წყარო, რომელმაც, როგორც აუცილებელი პირობა, უნდა გაიაროს აპრობაცია 1 ან 2 წელი. დადგინდეს კანონის მოქმედების დადებითი და უარყოფითი თვისებები, შესწორდეს 70% ბუნების კანონთან მიმართებაში, 30% კი ქვეყნის მოთხოვნას უნდა მოვარგოთ. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შემოვიტანოთ ხანგრძლივ მოქმედებაში. აუწონელი კანონი დიდ ზიანს აყენებს ქვეყანას.

„ბუნებრივი სამართალი ჩვენ გარეშე არსებობს: ის სამართალი, რომელსაც ყველგან და ყოველთვის ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს და არაა დამოკიდებული იმაზე, ჩვენ მას ვცნობთ, ვაღიარებთ თუ არა – ბუნებრივი სამართალია. ყველა დანარჩენი – პირობითი, ანუ ხელოვნური სამართალია.“

ზემოთ მოყვანილი მაგალითის გასამყარებლად მოგაწოდებთ არისტოტელეს აზრს, რომელიც სახელმწიფოს მართებული და არამართებული ფორმის საკითხს განიხილავს.

„მართებულ სახელმწიფოში მმართველები საერთო სარგებელზე ფიქრობენ, არამართებულში – მხოლოდ საკუთარ თავზე. მართებული სახელმწიფოა მონარქიული, არისტოკრატიული და პოლიტია, არამართებული – ტირანია, ოლიგარქია და დემოკრატია. ის ყველაზე მართებულ ფორმად თვლის პოლიტიას – უმრავლესობის მმართველობას საერთო სარგებლით, სადაც ურთიერთდაპირისპირებული სოციალური ფენების ინტერესები იქნება გათვალისწინებული (შეძლებულთა და უქონელთა). არისტოტელე მკაცრად აკრიტიკებს უკიდურეს დემოკრატიას, რომლის დროსაც უმაღლესი ძალაუფლება დემოსს ეკუთვნის და ყველა სიმახინჯე აქედან გამომდინარეობს.

პოლიტიკური სამართლიანობა მოითხოვს ერთ შემთხვევაში რაოდენობრივ თანასწორობას, მეორეში – თანასწორობას ღირსების შესაბამისად.

„სახელმწიფო, რომლის მმართველნიც „საშუალო“ ადამიანები არიან, საუკეთესო სახელმწიფო წყობას, სისტემას ქმნიან“. არისტოტელე მსჯელობს: დამარცხებული ქვეყნის არისტოკრატი არისტოკრატად არ ჩაითვლება, რადგან მან პოლიტიკა ღრმად ვერ გაიაზრა, არ დახვეწა, მოსალოდნელი საშიშროება წინასწარ ვერ გაიაზრა, შესაბამისად მან ეს დაუშვა, რომ ვიღაც დამპყრობელს დაემონებინა, ე.ი. ის გაუაზრებელი, განუვითარებელი მონაა, თუმცა ამას ვერ ხვდება და საკუთარ თავს არისტოკრატს უწოდებს.“

ამდენად, ჩვენ არისტოკრატად ვერ ჩავითვლებით. განა ჩვენი ყოფილი „პოლიტიკური არისტოკრატები“ დამარცხებულები არ არიან?! – ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვა, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განადგურება, სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება, საქართველოდან ქართველების გაქცევა, აზროვნების დაქვეითება!.. სრული პოლიტიკური კრახი, თავისუფლების მაძიებლების უაზრო ბოდიალით, მართლაც დავკარგეთ თავისუფლება და ვინ იცის, კიდევ რამდენს დავკარგავთ?!.

„სამყაროს ბუნებრივი პროცესის განვითარების ჩამოყალიბებაში ყველაფერი უსამართლოდ მიიჩნევა, რაც ბუნებრივ კანონზომიერებას ეწინააღმდეგება. უმაღლეს ხელოვნებად ყველა არსებულ ხელოვნებათა შორის, დემოკრიტე სახელმწიფოს მმართველობას აღიარებს. მისი აზრით, უდიდესი დანაშაულია სახელმწიფო თანამდებობაზე იმ მოქალაქეების დანიშვნა, რომელთა განათლება ეჭვს იწვევს, რადგან გაუნათლებლობას თან სდევს თავხედობა და სისულელე (460-370 ძვ. წ. აღ.), ის აკრიტიკებს დემოკრატიას იმ თვალსაზრისით, რომ დემოკრატია ანებივრებს ყველა განუვითარებელს, ბრბოს და იქ არ არის ადგილი ზნეობრივთა და განათლებულთათვის. განათლებული, ზნეობრივი უმცირესობის ნება – უკვე კანონია.“

განა ყველა ჭკვიანია, ვინც უმაღლესი განათლება უცხოეთში მიიღო? ან ვინც 5 ენა იცის და 5 უნივერსიტეტი დაამთავრა, ხუთჯერ ჭკვიანი იქნება? ჭკუა სწავლებაში არ არის. სწავლა გონებას ანვითარებას, გონება – გონიერებას და გონიერება – სიბრძნეს!

„პოლიბიუსი (210-123 ძვ. წ. აღ.): დემოკრატიის დროს ბრბო სხვის ხარჯზე მათხოვრული ლუკმის მიღებას და უბადრუკ ცხოვრებას თანდათან ეჩვევა, ყველას ენდობა, ვინც ოდესმე რამეს მიუგდებს. ამით ნებისმიერი თავხედი დემაგოგი, აფერისტი სარგებლობს, ხოლო თვით ბრბოს კი სახელმწიფო საქმეები, პოლიტიკა აღარ აინტერესებს. შესაბამისად, დემოკრატიაში ისეთი რამ დევს, რაც მის გადაგვარებას უწყობს ხელს, ამ შემთხვევაში, „სახელმწიფო უკეთილშობილესი სახალხო მმართველობის სახით ინიღბება, რეალურად კი ის ყველაზე ცუდ სახეს იღებს, რაც საერთოდ შეიძლება სახელმწიფომ მიიღოს.“

ჩვენ იმდენად გავერთეთ და „დავთვერით“ დემოკრატიით, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელ გზას ვეღარ ვპოულობთ. ისევ იმას ვიტყვი, უბრალო ბუნების კანონიდან გამომდინარე, კანონი უნდა მოარგო ერის ხასიათს და ქვეყნის საჭიროებას (70%/30%-ზე). შესაძლებელია ეს ერთადერთი გამოსავალი იყოს.

რომან რურუა,

სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისთვის“ დამფუძნებელი, ცნობილი მეწარმე და სპორტსმენი, მსოფლიოს ოთხგზის, ოლიმპიური ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, 1999-2003 წლების მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი.

2019.

* * *

ბატონი რომან რურუას ამ ნაფიქრმა და ნააზრევმა კიდევ ბევრი კითხვა დაბადა. შევხვდით, ვესაუბრეთ ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავლის ძიების მისეულ ხედვაზე. განსაკუთრებით იმ ფილოსოფიით დავინტერესდით, რომელსაც ის ზემომოყვანილ წერილში ასაბუთებს: ბუნებრივი რესურსი ეკუთვნის საქართველოს მოსახლეობას, ამიგომ საერთო სარგებლობაში უნდა მოექცეს და თანაბრად გადანაწილდეს ჩვენს მოქალაქეთა შორის.

– ბატონო რომან, ცნობილია, რომ სპორტული მწვერვალების დაპყრობის შემდეგ ბიზნესში გადაინაცვლეთ და სამეურნეო საქმიანობაში საფუძვლიანად ხართ გარკვეული. მაგრამ ეს ფილოსოფიური ესსე, არ დაგიმალავთ, ერთგვარად მოულოდნელი იყო.

– ჩემს წერილს საფუძვლად დაედო ქართველ მეცნიერთა მრავალწლიანი ნაშრომები „ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა, დარგობრივი ეკონომიკისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების სახელმწიფო პროგრამები.“ წლების განმავლობაში ვადევნებ თვალს ქართველი მეცნიერის პაატა გიორგაძის ავტორობითა და ხელმძღვანელობით შემუშავებულ ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის სწრაფი განვითარებისა და მოსახლეობის უმძიმესი ყოფიერების დაძლევის კონცეფცია-პროგრამებს, რომელთა თანაავტორები არიან ცნობილი მეცნიერ-მკვლევარები და ღვაწლმოსილი ადამიანები. ამ მისიის პრაქტიკული განხორციელებისათვის კი აუცილებელია ერთ მუჭად შეკრული ჩვენი მოსახლეობის მხარდაჭერა და თანადგომა, რათა გადავლახოთ ხელოვნურად შექმნილი წინაღობანი და რეალურად მივიღოთ პრობლემის გდაწყვეტის გეგმა-შესაძლებლობა.

ამიტომაც მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ საყოველთაო სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისთვის“ დაფუძნებულიყო ბათუმში. ამ მოძრაობამ დღესდღეობით დასავლეთ საქართველოს ყველა რეგიონის მუნიციპალური ერთეული უკვე მოიცვა და ხალხი კეთილი ნება-სურვილით მხარს უჭერს ახალი ეროვნულ-ეკონომიკური მოძრაობის შექმნას საქართველოს ყველა მხარეში, რომლის მიზანია:

- საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის სიდუხჭირიდან გამოყვანა და მათი კეთილდღეობის ამაღლება;

იხ. 6 გვ.

ვიდრე მქონეთა და არამქონეთა დაპირისპირებამდე მივალთ!

(მეხუთე გვერდიდან)

● ქვეყნის მატერიალური სიმდიდრის შექმნა და კონკურენტუნარიანი უპირატესობის ზრდა, ახალი ფინანსურ-ეკონომეტრული ინსტრუმენტის ფორმირება და დარგობრივი მიმართულების პროექტების განხორციელება;

● ერთიანი ეკონომიკური ძლიერი, სოციალურად ორიენტირებული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუციით.“

ამ ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია, რომ საზოგადოებას აღვუდგინოთ ერთიანობის განცდა.

— რამდენად რეალურად გეჩვენებათ დღევანდელ საქართველოში ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელება?

— ამაზე რეალური სიმდიდრე ქართველებს არაფერი გაგვაჩნია. ჩვენ გვაქვს ის, რაც არა აქვს სხვა ერებს. ჩვენ ვჭირდებით მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანას, რათა შეუფერხებლად მივაწოდოთ ეს ბუნებრივი, უნიკალური თვისებებისა და მაღალხარისხიანი პროდუქტი. მსოფლიოსათვის წყლის მიწოდება უზრუნველყოფს საქართველოს უსაფრთხოებას.

საქართველო უნდა გახდეს მსოფლიო მნიშვნელობის კონკურენტუნარიანი, წიაღისეული სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გატანის უპირატესობის მქონე ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა. მეცნიერთა გაანგარიშებით საექსპლუატაციოდ დასაშვები მარაგების მხოლოდ 0,75%, ანუ 2,5მ^3/წმ-ში იქნება გამოყენებული, ვინაიდან მეტ ტვირთს საქართველოში დღეს არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა ვერ გაატარებს. ხოლო დანარჩენი 298,5მ^3/წმ-ში სასმელი წყლის მარაგები ავტორის მიერ ძალზედ ჭკვიანურად მოფიქრებული მოდელით გადაყვანილია ქვეყნის მატერიალურ სიმდიდრეში და იგი წარმოადგენს უზარმაზარ ქონებას შესაბამისი ფასების ინდექსაციით.

სასმელი წყლის ინდუსტრიის სააქციო საზოგადოების წევრი გახდება საქართველოს მკვიდრი ყველა მოქალაქე, რომელსაც უფასოდ გადაეცემა ასეულათასობით აშშ დოლარის „მატერიალური ღირებულების“ 1 აქცია საკუთრების უფლებით. იგივე უფლება ენიჭება ყოველ ახალდაბადებულ ბავშვს. აქცია მემკვიდრეობით არ გადადის, ვინაიდან ეს არათანაბარ გადანაწილებას გამოიწვევს.

— ბატონო რომან, რასაც თქვენ ამბობთ, უფრო ოცნებას ჰგავს. პრაქტიკულად თუ გაკეთდა რამე ამ მიმართულებით?

— რა თქმა უნდა! გავეცანი სტრატეგიულ პარტნიორებთან მოლაპარაკებების ძირითად ოფიციალურ დოკუმენტებს და სამოქმედო გეგმის ნაწილს. კონცეფცია-პროგრამა შესწავლილი, ექსპერტირებული და მხარდაჭერილია მსოფლიო კაპიტალის ბაზრის ფინანსური ინსტიტუტების მიერ. სტრატეგიულმა პარტნიორებმა აღიარეს და მიიღეს ქართველ მეცნიერთა მიერ შემუშავებული საქართველოს წიაღისეული სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების მსოფლიო ფინანსურ რესურსებში ჩართვის მექანიზმის გამოყენებით კაპიტალიზაციისა და საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე მისი მატერიალიზაციის ტექნოლოგიური მოდელი, რომელმაც უზრუნველყო ბაზრის სეგმენტის მოპოვება და ინდუსტრიული მშენებლობისათვის აუცილებელი 5 მილიარდი აშშ დოლარის დაფინანსება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო დანახარჯებით.

ამ თემაზე წლების განმავლობაში მუშაობენ მეცნიერები. იმედი გვაქვს, საქართველოს მთავრობა მხარს დაგვიჭერს და გამოხატავს პოლიტიკურ ნებას.

— შეგიძლიათ ჩვენს მკითხველებს გააცნოთ კონცეფცია-პროგრამის თუნდაც ძირითადი პუნქტები?

— აუცილებელიც კი არის.

● 18 თვეში საქართველოს მუნიციპალურ ერთეულებში უნდა აშენდეს 190-მდე სასმელი წყლის ჩამოსასხმელ-დამფასოებელი ქარხანა;

● პირველ ეტაპზე შეიქმნება 80-100 ათასამდე სამუშაო ადგილი;

● დასაქმებულის სამუშაო ხელფასი იქნება 1500 აშშ დოლარის ეკვივალენტი;

● ქვეყნის ყოველწლიური შემოსავალი იქნება 12 მილიარდი აშშ დოლარის ექვივალენტი;

● —კონცეფცია-პროგრამის რეალიზაციით საქართველოს ბიუჯეტს ყოველწლიურად ჩაერიცხება 2,5 მილიარდი აშშ დოლარის ეკვივალენტი;

● შეიქმნება განვითარებული სატრანსპორტო ინფრასარუქტურა, გაიზრდება პორტებისა და ტერმინალების ტვირთბრუნვა;

● — ინდუსტრიული მშენებლობის დასრულებისთანავე მიწისქვეშა სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების კაპიტალიზაციის ტექნოლოგიური მოდელის გამოყენება უზრუნველყოფს ახალი ფინანსური ინსტრუმენტის ფორმირებას, რაც მსოფლიოს უმაღლესი კლასის სანბანკო გარანტიაა დარგობრივ-ეკონომიკური პროექტებისათვის საჭირო გრძელვადიანი მცირეპროცენტიანი ფულადი რესურსების მოსაზიდად;

● სტრატეგიულ პარტნიორებთან ხანგრძლივი მოლაპარაკებების საფუძველზე მიღწეულია შეთანხმება ათობით მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფის თაობაზე: სოფლის მეურნეობის, გადამმუშავებელი მრეწველობის, ენერგეტიკის, ქალაქებისა და დაბების წყალმომარაგება-წყალარინების ახალი სისტემის მშენებლობისა და საზღვრისპირა მაღალმთიან რეგიონებში თანამედროვე სოფლების ურბანული განვითარებისათვის, მთისა და ბარის კოოპერირებისათვის გლეხური ფერმერული მეუნეობების მოსაწყობად, ჯანმრთელობის, განათლებისა და მეცნიერების და ა.შ. პერსპექტიული მიმართულების განვითარებისათვის;

● შეიქმნება მრავალმილიონიანი ფონდი ბუნების აღდგენისა და განვითარებისათვის;

● მიღებული შემოსავლების რეინვესტირებით მე-10 წელს საქართველოში მაღალი ანაზღაურებით დასაქმდება 450 ათასამდე ადამიანი, ხოლო ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლები გაიზრდება და მიაღწევს ათეულობით მილიარდ აშშ დოლარს, რასაც ადასტურებს ფინანსური ნაკადების ბრუნვის ბიზნესგეგმა, „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუცია“.

— როგორ ფიქრობთ, რამ შეიძლება შეუშალოს ხელი ამ გეგმის განხორციელებას?

— მთავარია, ჩვენ არ შევუშალოთ ხელი ერთმანეთს. ჩვენ მსოფლიოს ვჭირდებით და თუ ვჭირდებით, დაგვიცავენ. როგორც ვხედავთ, წყალი ყველაზე ძლიერი იარაღი ხდება. შესაძლოა, ეს ყველაზე ანგარიშგასაწევი საკითხი იყოს და უკავშირდებოდეს საერო და საეკლესიო ხედვას — საქართველოს გაბრწყინებას. მომავალში თუ წყალს ნებით არ გავცემთ, ძალით წაიღებს სხვა, რადგან ბუნებრივი რესურსებისთვის ყოველთვის იყო ომი და დღემდე გრძელდება. იქიდან გამომდინარე, რომ წყალი 24 საათის განმავლობაში სჭირდება ადამიანს, მსოფლიო კრიზისი უკვე დაწყებულია. ჩვენ ვალდებული ვართ, სასწრაფოდ მივაწოდოთ სასმელი წყალი იმ ქვეყნებს, სადაც მისი დეფიციტია.

როცა სასმელი წყლის რესურსების თემას გავეცანი, დავრწმუნდი, რომ ჩვენ მდიდარი ქვეყნის შვილები ვართ, შეიძლება, იმაზე მდიდარიც, ვიდრე გაზისა და ნავთობის მფლობელი ქვეყნებია. ამ იდეის განხორციელება სიღარიბიდან თავის დაღწევისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსს გვაძლევს.

მე ვერიდები ადამიანების მწვავე კრიტიკას, არ ვაძლევ თავს უფლებას ვინმე საზოგადოების განსჯისთვის გავწირო, მაგრამ ყველა ხელისუფლება — კომუნისტებიდან დაწყებული დღევანდელით დამთავრებული, დამნაშავეა ქართველი ერის წინაშე, რომელსაც განსჯის ისტორია, რადგან ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ გაითვალისწინა მოსალოდნელი საშიშროებები, ვერ დაალაგა სიტუაცია. როგორც არისტოტელე ამბობს: **„დამარცხებული ქვეყნის არისტოკრატია** (მთავრობა), **არისტოკრატად არ ჩაითვლება, რადგან მან პოლიტიკა** — (მართვა!) — **ღრმად ვერ გაიაზრა, არ დახვეწა, მოსალოდნელი საშიშროება წინასწარ ვერ გაიაზრა, შესაბამისად, მან ეს დაუშვა, რომ ვიღაც დამპყრობელს დაემონებინა. ე. ი. ის გაუაზრებელი, განუვითარებელი მონაა, თუმცა ამას ვერ ხვდება და საკუთარ თავს არისტოკრატს უწოდებს.“**

რაც შეეხება ხელისშემშლელ მიზეზს, ამას ვხედავ ადამიანის იმ მისწრაფებაში, რაც მის ბუნებაში ყველაზე მეტად არსებობს და ეს არის მისი „მე“! ღმერთმა ნუ მოგვიშალოს საკუთარი **„მე“,** მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენი **„მე“** ვერ მოგვიტანს სიკეთეს, თუ ვერ შევთანხმდებით. ჩვენი შეთანხმების ძირითადი არსი, რომელიც საერთო კეთილდღეობას მოიტანს, **„ჩვენშია“**. ჩვენი მიზანია, როგორმე ეს **„მე“** წყლის სარგებლობასთან მიმართებაში შევცვალოთ **„ჩვენით“**, მაშინ ამ რეალობას ვერავინ შეუშლის ხელს, რაც შეგვაძლებინებს, ვიცხოვროთ ერთად და მშვიდობიანად. სხვა შემთხვევაში გაჩნდებიან **„ისინი“,** სადაც ჩვენ ყველაფერს ვკარგავთ.

ქონება ისე უნდა გადანაწილდეს, რომ **წარსულის პოლიტიკურ-ეკონომიკური განკითხვა დარჩეს წარსულში.**

ესაუბრა
არმაზ სანებლიძე

სახალხო მოძრაობის საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის დამფუძნებელთა მიმართვა საქართველოს მოსახლეობას!

პაატა გიორგაძე.

ᲕᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ

მუხლი 6. საქართველოს წყლის სტატუსი

1. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყალი სახელმწიფო საკუთრებაა და გაიცემა მხოლოდ სარგებლობისათვის. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელიც პირდაპირ ან ფარული ფორმით ხელყოფს წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლებას.

ქართველი მეცნიერების მრავალწლიანი მუშაობის შედეგად მაკროეკონომიკური კვლევებისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით შემუშავებულია ქვეყნის სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების კონცეფცია-პროგრამა **„წყალი ეროვნული სიმდიდრე“,** რომელიც ეფუძნება მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის მშენებლობას. ამ მიზნით იწყება საყოველთაო სახალხო მოძრაობა, რომლისთვისაც საჭიროა მოსახლეობის მხარდაჭერა, რომ უმოკლეს დროში აშენდეს საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრია 190 წყლის ჩამოსასხმელ-დამფასოებელი ქარხნით.

სახალხო მოძრაობა **„საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“** დამფუძნებლები მოგმართავთ საქართველოს მოსახლეობას, მხარი დაუჭირეთ ინდუსტრიულ მშენებლობას და მის განვითარებას, რომლის დასრულებისთანავე, 18 თვეში თითოეული თქვენგანი გახდება სააქციო საზოგადოების წევრი და უფასოდ გადმოგეცემათ 455 ათასი აშშ დოლარის მატერიალური ღირებულების 1 აქცია. თქვენი ხელმოწერით დაადასტურებთ, რომ ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე — მიწისქვეშა წყლის ბუნებრივი რესურსები, ანუ ჩვენი ქონება დარჩეს მხოლოდ ჩვენს საკუთრებაში სახალხო სარგებლობის უფლებით. მშენებლობის დასრულების შემდეგ მე-9 წლიდან საქართველოს თითოეული მოქალაქე მიიღებს ყოველწლიურ შემოსავალს დივიდენდების სახით, რომლის მოცულობა მომდევნო მე-10-11 წელს მიაღწევს მინიმუმ 4 550 აშშ დოლარიდან მაქსიმუმ 6 825 აშშ დოლარამდე 1 აქციის ღირებულებიდან 1-1,5%-ის გაანგარიშებით. ხოლო 11 წლის შემდეგ, განვლილ მეორე 10-წლიან პერიოდში დივიდენდების ყოველწლიურად 1%-ით ზრდის პირობებში, ანუ 10-15%-ის გაანგარიშებით შემოსავლების სახით თითოეული საქართველოს მოქალაქე მიიღებს მინიმუმ 45 000 აშშ დოლარიდან მაქსიმუმ 68 250 აშშ დოლარამდე ყოველწლიურ შემოსავალს. დივიდენდები შემდგომში მზარდია. იგივე უფლებებით ისარგებლებს ჩვენი ქვეყნის ყოველი ახალშობილი. ამ გზით დავძლევთ ქვეყანაში არსებულ სიღარიბეს და გავაუმჯობესებთ დემოგრაფიულ მდგომარეობას. სახალხო მოძრაობის მხარდაჭერით თქვენ გახდებით ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის სააქციო საზოგადოების წევრი.

გაეცანით წარმოდგენილ პროგრამას და თქვენი თანხმობა მხარდამჭერთა წევრობის შესახებ დაგვიდასტურეთ ხელმოწერით

მოძრაობის დამფუძნებლები: რომან რურუა, ელიზბარ ჯაველიძე, ოთარ ნათიშვილი, გურამ სალარაძე, ნოდარ ჩხეიძე, რამაზ სურმანიძე, ენვერ ნიჟარაძე, ზურაბ აბაშიძე, მზია ზაკუტაშვილი, ზაურ ციხელაშვილი, ელიზბარ ლომინაძე, შალვა ნეფარიძე, ნატალია ზაქარეიშვილი, ციალა ბეჟურაიძე, პაატა გიორგაძე.

პროგრამა

სახალხო მოძრაობა „საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისათვის“

მოძრაობის მიზანი:

- **საქართველოს სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მოსახლეობის სიდუხჭირიდან გამოყვანა და მათი კეთიდღეობის ამაღლება;**
- **ქვეყნის მატერიალური სიმდიდრის შექმნა და კონკურენტუნარიანი უპირატესობის ზრდა, ახალი ფინანსურ-ეკონომეტრული ინსტრუმენტის ფორმირება და დარგობრივ-ეკონომიკური პროექტების განხორციელება ფულადი რესურსების უზრუნველყოფით;**
- **ერთიანი, ეკონომიკურად ძლიერი, სოციალურად ორიენტირებული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუციით“;**
- **საზოგადოებას უნდა აღვუდგინოთ ერთიანობის განცდა დასახული მიზნის მისაღწევად.**

მიზნის მიღწევის გზები:

საქართველო უნდა გახდეს მსოფლიო მნიშვნელობის კონკურენტუნარიანი უპირატესობის მქონე მიწისქვეშა ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიული წარმოებისა და მზა პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე გამტანი ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა.

ამ გზით საქართველო შეძლებს ყოველწლიურად აწარმოოს 50 მლრდ ლიტრი მაღალხარისხიანი სასმელი წყლის პროდუქტი.

ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის სააქციო საზოგადოების წევრები ეტაპობრივად გახდება საქართველოს მკვიდრი ყველა მოქალაქე, რომელთაც **უფასოდ გადაეცემათ ასეულათასობით აშშ დოლარის „მატერიალური ღირებულების“ 1 აქცია საკუთრების უფლებით,** რაზედაც გამოცხადდება გასხვისების 10-წლიანი მორატორიუმი საშუალო ფენის შექმნა-ჩამოყალიბებისა და მდიდარი მოსახლეობის მსყიდველობით უნარიანობის შენარჩუნება-ზრდის პერსპექტივებით.

უზრუნველყოფილია სასმელი წყლის მსოფლიო ბაზრის სეგმენტის მოპოვება და ინდუსტრიული მშენებლობისათვის საჭირო 5 მლრდ აშშ დოლარით დაფინანსება.

ეკონომიკური შედეგი:

- **18 თვეში** საქართველოს მუნიციპალურ ერთეულებში აშენდება მინიმუმ ორი, ხოლო საერთო ჯამში 190-მდე სასმელი წყლის ჩამომსხმელ-დამფასოებელი ქარხანა;
- **პირველ ეტაპზე** შეიქმნება 80-100 ათასამდე სამუშაო ადგილი;
- **დასაქმებულის საშუალო ხელფასი** იქნება **1500 აშშ** დოლარის ეკვივალენტი ლარებში;
- **ქვეყნის ყოველწლიური შემოსავალი** იქნება **12 მილიარდი აშშ** დოლარის ეკვივალენტი ლარებში;
- **კონცეფცია-პროგრამის რეალიზაცით** საქართველოს ბიუჯეტი შეივსება **2,5 მილიარდი აშშ დოლარის** ეკვივალენტით ლარებში;
- **შეიქმნება** განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, აშენდება ახალი პორტები და ტერმინალები;
- **ინდუსტრიული მშენებლობის დასრულებისთანავე** მიწისქვეშა სასმელი წყლის ბუნებრივი რესურსების კაპიტალიზაციის ტექნოლოგიური მოდელის გამოყენება უზრუნველყოფს ახალი ფინანსური ინსტრუმენტის ფორმირებას, რაც მსოფლიოს უმაღლესი კლასის საბანკო გარანტიაა დარგობრივ-ეკონომიკური პროექტებისათვის საჭირო გრძელვადიანი მცირეპროცენტიანი ფულადი რესურსების მოსაზიდად;
- **სტრატეგიულ პარტნიორებთან** ხანგრძლივი მოლაპარაკებების საფუძველზე მიღწეულია **შეთანხმება ასობით მილიონი დოლარის გამოყოფის თაობაზე:** სოფლის მეურნეობის, გადამმუშავებელი მრეწველობის, ენერგეტიკის, ქალაქებისა და დაბების წყალმომარაგება-წყალარინების ახალი სისტემების მშენებლობისა და საზღვრისპირა მაღალმთიან რეგიონებში თანამედროვე სოფლების ურბანული განვითარებისათვის, მთისა და ბარის კოოპერირებისათვის გლეხურ-ფერმერული მეურნეობების მოსაწყობად, მეცნიერების, ჯანმრთელობის, კულტურის, განათლებისა და სპორტის, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის და ა. შ. სტრატეგიული მიმართულებების განვითარებისთვის;
- **მრავალი მილიონი დოლარი** გამოიყოფა ტყეების გაშენება-რეაბილიტაციისა და აღდგენა-განახლების სამუშაოებისათვის;
- **მიღებული შემოსავლების რეინვესტირებით** მე-10 წელს საქართველოში მაღალი ანაზღაურებით **დასაქმდება 450 ათასამდე ადამიანი,** ხოლო ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლები გაიზრდება და მიაღწევს ათეულობით მლრდ აშშ დოლარს, რასაც ადასტურებს ფინანსური ნაკადების ბრუნვის აქსელერატორი (ბიზნესგეგმა).

კონცეფცია-პროგრამების ავტორთა და თანაავტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი ***პაატა გიორგაძე, ზაურ ციხელაშვილი, ნოდარ ჩხეიძე***

სახალხო მოძრაობა საქართველოს
ეკონომიკური აღმავლობისთვის

---------- *რეგიონი* ---------- *მუნიციპალიტეტი*

---------- *ქალაქი/სოფელი*

საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარების მხარდამჭერთა სია

გავეცანი სახალხო მოძრაობის დამფუძნებელთა მიმართვას და პროგრამას. ვიზიარებ და მხარს ვუჭერ ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის განვითარების გზით მოსახლეობის სიდუხჭირიდან გამოყვანას და მატერიალური სიმდიდრის შექმნით ქვეყნის კონკურენტუნარიანი უპირატესობის ზრდის პერსპექტივებს. რასაც ვადასტურებ ჩემი ხელმოწერით.

N	გვარი სახელი	პირადობის N	საკონტაქტო	ხელმოწერა

ამას ოდენ გაჭირვება აღარ ჰქვია!

„გეზის“ ტერმინალში ხორბლით დატვირთული 70 მანქანაა გაჩერებული!.. მძღოლები ხელისუფლების მხრიდან მონოპოლიის მფარველობაზე საუბრობენ, ფინანსთა სამინისტრო ფაქტს კატეგორიულად უარყოფს

„კომერსანტისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ხორბლით დატვირთული 70 მანქანა 20 დღეზე მეტია „გეზის“ ტერმინალშია გაჩერებული. როგორც მძღოლები ჩვენთან საუბარში აცხადებენ, ხელისუფლება მანქანების გაჩერების ზუსტ მიზეზს არ ასახელებს და საბაჟოზე ვერც იმას ეუბნებიან, თუ როდის შეძლებენ საზღვრის გადმოკვეთას.

მძღოლების მიერ გავრცელებულ ინფორმაცას ფინანსთა სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს. უწყების განმარტებით, საბაჟოზე 70 მანქანა არავის გაუჩერებია და შესაბამისად, არც არანაირი დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენა მოუთხოვიათ.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური კატეგორიულად უარყოფს ზოგიერთ მედიასაშუალებაში გავრცელებულ ინფორმაციას თითქოს გაფორმების ეკონომიკურ ზონაში გაჩერებულია ხორბლით დატვირთული 70-ზე მეტი მანქანა.

ამ დროისთვის ყველა გაფორმების ეკონომიკური ზონა მუშაობს ყოველგვარი შეფერხების გარეშე. ასევე არ შეესაბამება სიმართლეს ის ინფორმაციაც, თითქოს მძღოლებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფიტოსანიტარიული კონტროლის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად მოეთხოვათ მოსავლის აღების ადგილის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა.

იმპორტიორებს საქონლის დეკლარირებისას კანონმდებლობით ევალებათ გარკვეული დოკუმენტაციის წარდგენა და აღნიშნულ ჩამონათვალში არანაირი ცვლილება არ შესულა.

ავტოსატრანსპორტო საშუალებით ხორბლის ან ხორბალ-ჭვავის ფქვილის შემოტანა-გატანა ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის გავლით ხორციელდება ყოველგვარი შეფერხების გარეშე. — აცხადებენ ფინანსთა სამინისტროში და ფაქტის დასადასტურებლად ფოტოებს გვაწვდიან.

შპს „საბას“ მენეჯერი დავით მითაიშვილი კომერსანტთან აცხადებდა, რომ „გეზის“ ტერმინალში მანქანები საზღვრის გადმოკვეთას კიდევ დიდხანს ვერ შეძლებენ, რადგან ამ პროცესს სახელმწიფო „უწყობს ხელს“.

„გეზის“ ტერმინალში ყველა მანქანა ხელოვნურად არის გაჩერებული, რადგან ხელისუფლება მონოპოლისტებს უწყობს ხელს. დღეს საქართველოში ასეთი მდგომარეობაა. ხორბლის საქართველომდე ჩამოტანის თვითღირებულება 64 თეთრია, მაგრამ მძღოლები, რომელიც ხელისუფლებამ გადაიბირა, მას 60 თეთრად აბარებენ. რანაირად ახერხებენ ამას, როდესაც მარცვლეული რუსეთში 60 თეთრი არ ღირს. ეს არის იმის მაჩვენებელი, რომ ყველა იმპორტიორი, გარდა მცირე შემომტანებისა, გადაიბირა სახელმწიფომ. ხოლო ისინი ვინც ვერ გადაიბირეს, უკვე 20 დღეა, გაჩერებულები არიან საბაჟოზე. ეს არის მცირე შემომტანთა ჯგუფები, რომლებსაც 3-4 ან 10 მანქანა ხორბალი შემოაქვთ საერთო ჯამში. ამ ყველაფერს აუცილებლად მოჰყვება მასშტაბური აქცია, ამის პირობას ვდებთ. ის 70 მანქანა, რომელიც გაჩერებულია ორ კვირაზე მეტია, ხან ფიტოსანიტარიასთან ამისამართებენ, ხან რაღაც საბუთებს სთხოვენ. როდესაც რუსეთიდან მანქანები წამოვიდნენ, მათ ზუსტი მისამართი არ ეწერათ. რუსეთი წერს, რომ N რაიონიდან წამოვიდა ხორბლით დატვირთული მანქანა, რომ მარცვლეული არ არის გენმოდიფიცირებული პროდუქტი და ა.შ. ახლა ჩვენთან ითხოვენ მისამართის დაკონკრეტებას. ამ დროს მსოფლიომ იცის, რომ რუსეთი გენმოდიფიცირებულ პროდუქტს არ აწარმოებს, რადგან ამერიკა არ აძლევს მათ ამ სახის მარცვლეულს, ორ ქვეყანას აქვს დაძაბული ურთიერთობა და რაზე გვიწევს საუბარი, ცოტა სასაცილოა. ეს არის უბრალოდ მიზეზები, რომ გაამართლონ თავიანთი შეუსაბამო საქციელი,“ — აცხადებს დავით მითაიშვილი.

მისი თქმით, დღეს სულ 3 000 მანქანაა გაჩერებული, ხორბლის მცირე შემომტანებს სახელმწიფო ხელოვნურად აფერხებს და ქვეყანაში მონოპოლიის დამკვიდრებას უწყობს ხელს. მონოპოლიზებულ ბაზარს კი ძმები კოკოევები განაგებენ და, საბოლოოდ, მათი „სამსახურებით“ ქვეყანაში პური ძვირდება.

„ორი თვეა, ქვეყანაში ყველას გემებით და რკინიგზის გავლით შემოაქვს ხორბალი, მაშინ როდესაც აგვისტოს აქციის შემდეგ ერთწლიანი ვადა გვქონდა მოცემული და შეგვეძლო ისევ სატრანსპორტო გზით გვესარგებლა. მაშინ ფინანსთა მინისტრმა მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, თუმცა ფაქტია, რომ ეს იყო ჟურნალისტების და ხალხის თვალის ასახვევად. იმ დღიდანვე დაიწყეს ხელოვნური შეფერხება. პირდაპირ დაიწყეს გემების დატვირთვა, რკინიგზით მარცვლეულის გადაზიდვის საფასური 50%-ით შეამცირეს. მანქანის მძღოლებმა, ზამთარში, მთელი დეკემბერი და იანვარი დატვირთული ავტომობილებით, გზაში გაატარეს და ხორბლის შემოტანა ვერ შეძლეს. ამით ბაზარზე ხელოვნური დეფიციტი შეიქმნა. შემდეგ დააანონსეს, რომ საცავები გვჭირდებაო. საცავი გვჭირდება დღეს და გვჭირდებოდა 20 წლის წინაც, მაგრამ ყველა პრობლემა ერთად შეკრეს. რუსეთს 8 წლის წინანდელი ხორბალი აქვს შენახული, საქართველოს 1 თვის საცავიც არა აქვს, ერთი თვე რომ გადაიკეტოს გზა და ხორბალი ვერ შემოვიდეს, ხალხი მშიერი დაიხოცება, ამათ კი ახლა გაახსენდათ, რომ პრობლემა გვაქვს და იმასაც არ აგვარებენ. ჩვენ, როდესაც ტრაილერით შემოგვქონდა ხორბალი ვაბალანსებდით ფასს, ახლა კი პურის გაძვირება გარდაუვალია. ფინანსთა სამინისტრო, იმ მონოპოლიას უწყობს ხელს, რომელიც ქვეყანაში ძმებ კოკოევებს აქვთ აღებული. ხორბლის დიდი პროცენტი მათ შემოაქვთ და ზუსტად მათი „დამსახურებით“ ძვირდება პურის ფასი საქართველოში,“ — აღნიშნა მითაიშვილმა.

შპს „საბას“ მენეჯერი „კომერსანტთან“ ხორბლის მცირე იმპორტიორების აქციას აანონსებს: **„ძალიან დიდი ბომბი აფეთქდება ახლო მომავალში იმიტომ, რომ ამას გაჭირვება აღარ ჰქვია, რა დღეშიც მძღოლები და ავტომობილების მეპატრონეები არიან, ყველაფერს ბანკები ართმევენ და ამაზე სახელმწიფო თვალს ხუჭავს,“** — ამბობს მითაიშვილი.

ნათია ლომიძე

ჭალის ტყის აღდგენის პროექტი დაიწყო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტომ და ორგანიზაციამ „საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის“ ჭალის ტყის აღდგენის პროექტის განხორციელება დაიწყეს.



ხეების დარგვის აქციაში მონაწილეობა სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს. დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენელი მათ ჭალის ტყეების მნიშვნელობაზე ესაუბრა. აქციის მონაწილეებმა ტყის მოვლისა და ნერგების დარგვის შესახებ ინსტრუქციებიც მიიღეს. პროექტის მიზანია ჭაჭუნას დაცულ ტერიტორიებზე არსებული ლანდშაფტის ბიომრავალფეროვნების აღდგენის ხელშეწყობა და კონსერვაცია, რის შედეგადაც მოხდება ადგილობრივი ეკოლოგიური პროცესების, ჰაბიტატებისა და სახეობათა აღდგენა.

მწვანე ოაზისი შავი ზღვის ნაპირზე-ურეკი, ბათუმი და მთიანი აჭარა

„მწვანე ოაზისი შავი ზღვის ნაპირზე, მაღალი მთები და სილამაზით დამაბრმავებელი მეგაპოლისი ბათუმი: არ შემცდარხართ, ეს საქართველოა — ქვეყანა 3,7 მილიონი მოსახლეობით, რომელსაც უნიკალური მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და ადათები აქვს — ისეთი, როგორსაც მსოფლიოში სხვაგან ვერსად ვერ ნახავთ“, — ასე იწყება დოკუმენტურ-სარეკლამო ფილმი საქართველოს შესახებ, რომელიც 28 მარტს ჰამბურგის „Norddeutscher Rundfunk“-ის (ანუ „ჩრდილოგერმანული ტელერადიომაუწყებლობის“) ეთერში გადაიცა.

თითქმის ერთსაათიან ფილმში ნაჩვენებია საქართველოს შავიზღვისპირეთის, კერძოდ, გურიის მხარისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკურორტო და ტურისტული ღირსშესანიშნაობები:

ა) „ურეკის შავი ქვიშა უნიკალურია — ის რკინას შეიცავს და მაგნიტურია. აქ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში შეიქმნა სანატორიუმი „მეგობრობა“, რომელიც, სხვათა შორის, დღესაც მოქმედებს. სანატორიუმში მუშაობს ექიმი რამაზ ჭეიშვილი, მისი სპეციალობა ძალიან მოთხოვნადია — რამაზმა შეიმუშავა სპეციალური მაგნიტური თერაპია, რომელიც ძალზე პოპულარულია. თვით სანატორიუმში ისეთი სიტუაციაა, თითქოს დრო გაჩერდაო: არანაირი კომპიუტერები, მხოლოდ მუზუმის მსგავსი კაბინეტები, სადაც ისევ გასული საუკუნის საბჭოთა აპარატურა დგას... მაგრამ სამკურნალო ქვიშა თავის საქმეს მაინც აკეთებს“.

ბ) „ქართული ცეკვა — სწრაფი, აკრობატული და იმავდროულად დამძაბავიც. ქართველ ახალგაზრდებს — საბას, ლუკას და ნიკას ეროვნული ცეკვები ძალიან უყვართ. სამეული უკვე სცენის ვარსკვლავები არიან, ცეკვის დროს მათ ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევ“.

გ) „აჭარის მთებში მდებარე სოფელ თაგოში მხოლოდ საბაგირო გზით თუ მოხვდები. საბჭოთა პერიოდის დროინდელი გონდოლა — ეს ის ტრანსპორტია, რომელიც მოსწავლეებს, ქალებს და ბაზარზე წამსვლელებს ემსახურება. განმასხვავებელი ნიშანი: საბაგირო გზა 1720-მეტრიანია და არცერთი საყრდენი ბოძი არ აქვს! გონდოლის უსაფრთხო მოძრაობას ზვიად ბოლქვაძე უზრუნველყოფს. ძლიერი ქარის დროს იგი ზოგჯერ გონდოლას აჩერებს და მგზავრები საათობით არიან ცაში გამოკიდებულები...“

ფილმში ასევე დიდი ადგილი ეთმობა ბათუმის ტურისტულ ცხოვრებას, შავშეთის მთების ვენახებს, სადაც მსოფლიოში ყველაზე უძველესი ჯიშის ვაზის ღვინოს ამზადებენ...

„NDR - Norddeutscher Rundfunk“ (გერმანია)



დალაი-ლამა ჰოსპიტალიზირებულია

ინდოეთში ბუდისტების სულიერი ლიდერი დალაი-ლამა XIV ჰოსპიტალიზირებულია. 83 წლის დალაი-ლამას ფილტვების დაავადება დაუდგინდა. ამჟამად ის დელის ერთ-ერთ საავადმყოფოში რჩება. სულიერი ლიდერი კლინიკაში რამდენიმე დღის განმავლობაში დარჩება.

პუტინი მადაგასკარს იპყრობს

კრემლის პოლიტტექნოლოგები მადაგასკარზე იყვნენ ჩასული და ტურისტების სახით პრეზიდენტობის 36 კანდიდატიდან სულ მცირე 6 ფულს სთავაზობდნენ, — ნათქვამია BBC-ის მიერ ჩატარებულ გამოძიებაში. მასალაში ნათქვამია, რომ რუსების ჯგუფი მადაგასკარზე 2018 წლის მარტში არჩევნებამდე 8 თვით ადრე ჩავიდა. ჯგუფის ნაწილი თავს ტურისტებად ასაღებდა, ნაწილი კი —არჩევნებზე დამკვირვებლებად. რუსები პრეზიდენტობის კანდიდატით ანდრე მაიოლისით დაინტერესდნენ, რომელსაც 1,5 მლნ მხარდამჭერი ჰყავდა.

თავად მაიოლას თქმით, მან არ იცოდა, ვის წარმოადგენდნენ რუსები, მაგრამ იცოდა, რომ ისინი მის მხარდასაჭერად იყვნენ ჩასული. მაიოლას თქმით, რუსებმა მას ხელზე 5 ათასი ევრო გადაუხადეს, არჩევნებში მონაწილეობისთვის საჭირო 12 ათასი ევრო კი, ცესკოში შეიტანეს, ასევე ტელევიზიებში სააგიტაციო ვიდეორგოლების ხარჯი დაუფარეს. მაიოლას თქმით, რუსები მხარს 8-9 კანდიდატს უჭერდნენ.

„ვფიქრობდი, რომ გავიმარჯვებდი, ამიტომ მოვაწერე ხელი კონტრაქტს“, — აღნიშნა მადაგასკარის პრეზიდენტობის კანდიდატმა.

სტატიაში აღნიშნულია, რომ მადაგასკარზე არ არსებობს კანონი, რომელიც კანდიდატისთვის გადაცემული წინასაარჩევნო კამპანიისთვის საჭირო თანხის ოდენობას შეიძლება ადგენდეს. კიდევ ერთი კანდიდატი, რომელსაც რუსები ფულს სთავაზობდნენ, იყო მადაგასკარის ყოფილი პრემიერი ჟან ომერ ბერიზიკი. მას 2 მლნ დოლარზე ნაკლები შესთავაზეს.

ვისთვის შემოიღეს აფხაზეთში სიკვდილით დასჯა?

2017 წელს აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ ემხრობა ნარკომოვაჭრეებისთვის სამუდამო პატიმრობის შემოღებას, თუმცა მაშინ ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. ნარკოვაჭრობა კვლავაც ყვაოდა ე.წ. რესპუბლიკაში, თუმცა, როგორც ჩანს, ვითარება იმდენად არაკონტროლირებადი გახდა, რომ პარლამენტმა გასული კვირის ბოლოს შემოიღო ამ დანაშაულისთვის არათუ სამუდამო პატიმრობა, არამედ სიკვდილით დასჯა.

აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ამჟამად მოქმედებს მორატორიუმი სიკვდილის დასჯაზე, თუმცა, ახალი კანონის თანახმად, ეს ნორმა არ გავრცელდება ნარკოვაჭრობაზე.

კანონის ავტორის, ე.წ. დეპუტატ დმიტრი დბარის თქმით, ნარკოდილერები უკვე სრულიად ღიად ათავსებენ სოციალურ ქსელებში ნარკოტიკების ჩამონათვალს და ფასებს, უთითებენ მყიდველებს მათი შეძენის ადგილებს და აშ..

„ჩვენ ვართ საშიშ ზღვართან და არ გვაქვს ერის გადარჩენის სხვა გზა. რესპუბლიკა აივსო ნარკოტიკებით და ამასთან დაკავშირებით მისაღებია საგანგებო ზომები,“ — განაცხადა მან.

კანონი შედის ძალა 2020 წლის 1 იანვრიდან. დბარის თქმით, ნარკომოვაჭრეებს აქვთ საკმარისი დრო იმისთვის, რომ დაფიქრდნენ, რას აკეთებენ, ამავე დროს სამართალდამცავებსაც ექნებათ მოსამზადებლად საკმარისი პერიოდი.

კანონს მისცა ხმა აფხაზეთის ექსპრეზიდენტმა ალექსანდრ ანქვაბმაც, თუმცა ის ამ ზომას სკეპტიკურად უყურებს.

„ვინც იცის კრიმინოლოგია, ის აუცილებლად გეტყვით, რომ არსად და არასდროს სასჯელის გამკაცრება არ იწვევს დანაშაულის შემცირებას. ეს არის დრაკონული ზომა, თუმცა, ჩავთვალოთ, რომ ეს არის სამომავლო პრევენცია,“ — განაცხადა ანქვაბმა, რომელიც წლების მანძილზე იყო აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი.

რეალობა კი აფხაზეთში ძალიან მძიმეა — რესპუბლიკას მართავენ პოლიტიკურ-კრიმინალური კლანები, კანონმდებლობა არ მუშაობს, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებებს ან ზემოქმედების ქვეშ ან ქრთამის სანაცვლოდ.

საგულისხმოა შემთხვევა, რომელიც აფხაზეთში 2018 წელს მოხდა, როდესაც სოხუმის სასამართლომ მიუსაჯა 15 და 18 წელი ორ რუს ნარკომოვაჭრეს, მესამეს კი — სამუდამო პატიმრობა.

თუმცა, აფხაზეთის საკასაციო სასამართლომ შეუცვალა განაჩენი მესამეს და მიუსაჯა 15 წელი სამუდამო პატიმრობის ნაცვლად.

დეპუტატი ვალერი აგრბა ამბობს, რომ ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ განაჩენის გადახედვა შეუძლებელი იქნება, თუმცა, სინამდვილეში ყველამ იცის, რომ ნარკოვაჭრობის გარდა აფხაზეთში ასევე ყვავის კორუფცია.

ამიტომაც, სავარაუდოდ, ახალი კანონის მიღების შემდეგ ნარკოტიკების შემოტანა და გაყიდვა არ შემცირდება — უბრალოდ შეიცვლება კორუფციული სქემები საბაჟოზე, სამართალდამცავ ორგანოებში და სასამართლოში. მაგალითად, გასაყიდად შემოტანილი 5 კილო უეცრად შემცირდება რაოდენობამდე, რომელიც განკუთვნილია პირადი მოხმარებისთვის.

შესაბამისად, პრობლემას წარმოადგენს არა კანონის სიმკაცრე, არამედ უზარმაზარი კორუფცია, რომელიც არ აძლევს კანონებს მუშაობის საშუალებას.

მეორე საკითხია — **რატომ დგას ნარკოტიკების მართლაც მასობრივი მოხმარების პრობლემა, რომელიც სპობს უამრავ ახალგაზრდას?**

აფხაზეთი, როგორც ცნობილია, არსებობს საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების მიღმა და ასეთი ტერიტორიები ყოველთვის გადაიქცევა შავ ხვრელებად, სადაც ყვავის დანაშაული და სადაც ჩადიან ძებნილები სხვადასხვა ქვეყნებიდან. აფხაზეთიც არ გახდა გამონაკლისი, იმის მიუხედავად, რომ მას გააჩნია რუსეთისგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი შემოსავლის მხოლოდ ერთი წყარო — ტურიზმი. ისიც კი სერიოზულად ჩამოიშალა უმძიმესი კრიმინოგენური სიტუაციის გამო.

აფხაზი ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც აცნობიერებს, რომ შავ ხვრელს შეუძლია მათი ჩათრევაც და სურთ სწავლა და მუშაობა, მასობრივად ტოვებს რესპუბლიკას. აქ არ არის არც სამუშაო, და არც გართობა ახალგაზრდებისთვის, რომელთაც არა აქვთ დანაშაულისკენ მიდრეკილება.

დარჩენილების ნაწილი ცდილობს თავი ისე გაიტანოს, რომ არ გაისვაროს ხელები კრიმინალთან თანამშრომლობით, თუმცა ახალგაზრდობის დიდი ნაწილი უსაქმურობს და მთელ დროს ატარებს ქუჩაში. ხოლო „ქუჩის რომანტიკამ“ ჩათრევა იცის.

უსაქმურობის გამო მოზარდები სინჯავენ ნარკოტიკებს. 1-2 წელიწადში კი ხდებიან სტაჟიანი ნარკომანები.

ნარკოტიკებს სჭირდება დიდი ფული, რომელსაც განარკომანებული ახალგაზრდობა შოულობს ყველა საშუალებით — პირველ რიგში — დანაშაულებით.

არც სამართალდამცავების მოსყიდვაა დიდი პრობლემა — მათაც ხომ ოჯახები ჰყავთ სარჩენი.

მაშ, იმუშავებს თუ არა აფხაზეთში ანტინარკოტიკული კანონი რეალობაში? არ იმუშავებს მანამ, სანამ აფხაზეთში არ გაჩნდება სამუშაო, სანამ ადამიანებს არ ექნებათ პროფესიული განვითარების, ცხოვრების ჯანმრთელი წესის და კარიერული ზრდის სტიმული.

საერთოდ, აფხაზეთის საქართველოსთან ომის შემდეგ ყველაფერი თავდაყირა გადაბრუნდა. აფხაზებისთვის დამახასიათებელი ოჯახის პატივისცემა და ბავშვების სიყვარული კი არ მოქმედებს — ზოგი ტოვებს ოჯახებს, ზოგი არ ოჯახდება, იმიტომ, რომ ან ფული არა აქვს, ან ოჯახი საერთოდ არ აინტერესებს — ნარკოტიკი პირველ ადგილზეა.

კიდევ ერთი კითხვა — **რატომ არ უზრუნველყოფს აფხაზეთის ხელისუფლება ნარკოდამოკიდებულების სრულფასოვან მკურნალობას და რატომ არ არის ეს პრობლემა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რანგში აყვანილი?**

და საერთოდაც, რა არის აფხაზეთისთვის პრიორიტეტი? მხოლოდ ფსევდოდამოუკიდებლობა, რომელიც არსებობს მხოლოდ რუსეთის პოლიტიკური ნების და სამხედრო ბაზების წყალობით?

ერთი სიტყვით, სიკვდილით დასჯა ან სამუდამო პატიმრობა აფხაზეთში ვერავის შეაშინებს — ნარკომოვაჭრეები ყოველთვის მოძებნიან ადეკვატური სასჯელისგან და საერთოდაც დანაშაულის დამტკიცებისგან თავის არიდების გზებს.

იმის გათვალისწინებით, რომ მთელ მსოფლიოში ნარკომოხმარება იზრდება და ნარკოტიკებისგან სიკვდილიანობამ გლობალურ მასშტაბს გადააჭარბა — წელიწადში 500 მლნ. ადამიანი კვდება, აფხაზები განაგრძობენ „კაიფს“.

თანაც იმ პირობებში, როდესაც ალტერნატივა არ არსებობს — აფხაზეთიდან რაც შეიძლება შორს გაქცევის გარდა.

ROSBALT.RU

„გამოწვევად რჩება სკრინინგ პროგრამაში ჩართულობა, ადამიანებს რაგომღაც ურჩევნიათ, არ გამოიკვლიონ საკუთარი ჯანმრთელობა“

უფასო გამოკვლევები: ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, მსხვილი ნაწლავის, პროსტატის კიბოსა და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს პრევენციისათვის – თუ ჯერ არ იცით, ეროვნული სკრინინგ ცენტრი თბილისის მასშტაბით, დაავადებათა სკრინინგის პროგრამას ახორციელებს, გამოკვლევები კი სრულად სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

დღეს სკრინინგ ცენტრის დირექტორს **ეთერ კილურაძეს** ვესაუბრებით.

– ქალბატონო ეთერ, მოდით, დავიწყოთ იქიდან, თუ რა არის სკრინინგი და არის თუ არა ის კიბოს პრევენციის საშუალება?

– სკრინინგი ინგლისურად გადარჩევას ნიშნავს და გულისხმობს ჯანმრთელი მოსახლეობის გამოკვლევას და იმ ადამიანების ჯგუფის გამოვლენას, ვისაც საკვლევი დაავადებებისთვის დამახასიათებელი დაავადებები აღენიშნება. ზოგადად, მაღალი სიკვდილიანობისა და დაბალი გადარჩევის მაჩვენებლის მიზეზი არის, რომ კიბოს გამოვლენა შემთხვევათა 60%-ში ხდება მოგვიანებით ეტაპზე, აქ იგულისხმება მესამე და მეოთხე სტადია. სკრინინგის მთელი არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ნაადრევ ეტაპზე გამოვლინდეს კიბო და, რა თქმა უნდა, პრევენციულ ღონისძიებებში ის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. რაც უფრო ადრე გამოვლინდება დაავადება, მით უფრო მარტივია კიბოს მართვა და შესაბამისად მკურნალობაც უფრო შედეგიანია.

– ვის შეუძლია ისარგებლოს უფასო გამოკვლევებით?

– უფასო გამოკვლევებით შეუძლიათ ისარგებლონ საქართველოს მოქალაქე ქალბატონებმა და მამაკაცებმა, შესაბამისი ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით სხვადასხვა კომპონენტში. მაგალითად, 40-დან 70 წლის ჩათვლით შეუძლიათ ისარგებლონ ძუძუს კიბოს სკრინინგით. 25-დან 60 წლის ჩათვლით – საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგით. 50-დან 70 წლის ჩათვლით - მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგით. 50-დან 70 წლის ჩათვლით – პროსტატის კიბოს სკრინინგით. 25-დან 70 წლის ჩათვლით კი ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევები შეუძლიათ ჩიტარონ.

– როგორია გამოკვლევების ჩატარების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, ანუ სად არის განთავსებული სკრინინგ ცენტრები?

– ეროვნული სკრინინგ ცენტრი განლაგებულია ქალაქ თბილისში სამ ლოკაციაზე; ვარკეთილში, დიდუბეში და გლდანში და ნებისმიერ მათგანში ხდება მოქალაქეების მიღება.

– როგორია მომართვიანობის სტატისტიკა და რამდენ ადამიანს უტარდება ყოველწლიურად უფასო სკრინინგი?

– ყოველწლიურად იზრდება მომართვიანობის სტატისტიკა და თითოეულ კომპონენტში დაახლოებით 15 000 -მდე კვლევა მიმდინარეობს თბილისის პროგრამის ფარგლებში და სულ დაახლოებით 40 000 -მდე პაციენტი გადის ჩვენთან სხვადსხვა ტიპის გამოკვლევას, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მზარდია ეს დინამიკა, მაინც დიდ გამოწვევად რჩება პროგრამაში ჩართულობა.

– რატომ რჩება გამოწვევად პროგრამაში ჩართულობა?

– უპირველეს ყოვლისა, შიში აქვთ, რატომღაც ურჩევნიათ, რომ არ გაიგონ, არ გამოიკვლიონ საკუთარი ჯანმრთელობა. ადამიანებს საიმედო მოლოდინი უნდა ჰქონდეთ ამ გამოკვლევებიდან იმიტომ, რომ თუ დაავადება აქვთ, მისი რაც შეიძლება დროული გამოკვლევა ადამიანის გამოჯანმრთელებას ნიშნავს. დაახლოებით 85% დიაგნოზი არის დადებითი, ანუ მათ არ გააჩნიათ კიბოსთვის დამახასიათებელი ნიშნები და როდესაც სახელმწიფო ზრუნავს შენზე და შენს ჯანმრთელობაზე, რატომაც არ უნდა ჩაიტარო გამოკვლევები.

ასევე პრობლემაა მოსახლეობის არაინფორმირებულობა, ანუ მათ არ იციან ამ პროგრამის შესახებ. ამიტომ ვცდილობთ, საინფორმაციო კამპანია გავაძლიეროთ. ამ ეტაპზე პაციენტი თავისი სურვილით ხვდება პროგრამაში და გვინდა, პაციენტები პერსონალურად მოვიწვიოთ.

ასევე გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა, იმიტომ რომ მოქალაქისთვის, მის სახლთან ახლოს მდებარე ცენტრში უფრო მოსახერხებელია კვლევის ჩატარება და ამისთვის ჩვენ მესამე ცენტრი დავამატეთ გლდანის ტერიტორიაზე და ეს ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ციფრული მამოგრაფიით და სხვა სამედიცინო აპარატურით, რომელიც მაღალტექნოლოგიური სამედიცინო აპარატურაა და მაღალკვალიფიციური სამედიცინო გამოკვლევები ტარდება ჩვენი გამოცდილი და მაღალკვალიფიციური პერსონალის მიერ.

– მოსახლეობის პერსონალური მოწვევა რას გულისხმობს?

– პაციენტების პერსონალური მოწვევა შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე მეთოდით, ეს შეიძლება იყოს სატელეფონო მოწვევა მოქალაქეების, სმს შეტყობინებით მოწვევა, მაგალითად, ევროპაში ფართოდ არის დანერგილი ინდივიდუალური წერილებით მოწვევა, სავალდებულო ტონიც არის ამ წერილში გარდა იმისა, რომ დაპატიჟებაა, იმიტომ რომ აუცილებელია ქალმა ჩაიტაროს ეს გამოკვლევა, რომ შემდეგ დაცული იყოს, თავიდან აიცილოს ის გართულებები, რაც კიბოს შორს წასულ ფორმებს ახლავს თან.

– როგორც ვიცით, თელასი კომუნალური გადასახადების ქვითრებთან ერთად არიგებს წერილებს, რომ მოსახლეობამ ამ უფასო გამოკვლევების შესახებ გაიგონ, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს საინფორმაციო კამპანია?

– დიახ, ქვითრებთან ერთად ხდება პაციენტისთვის წერილის გაგზავნა და მთავარი ის არის, რომ ზუსტად მიდის ადრესატთან ოჯახში ეს წერილი, იმიტომ, რომ ის ოჯახი აუცილებლადაა რეგისტრირებული არსებულ მისამართზე და ადრე თუ გვიან ნახავს და შეიტყობს ამის შესახებ. კომუნალურ გადასახადებთან ერთად წერილების გაგზავნა მოსახლეობისთვის დაახლოებით ერთი თვეა, რაც დაიწყო და მომდევნო თვეშიც აუცილებლად გაგრძელდება, შემდეგ უკვე სტატისტიკურად შევხედავთ, შევაფასებთ და იმის მიხედვით გადავწყვეტთ რამდენი ხანი გაგრძელდება.

– რა ღონისძიებებია დაგეგმილი ზოგადად სკრინინგ პროგრამის განვითარების მიმართულებით და ასევე სკრინინგის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად?

– ჩვენ დაწყებული გვაქვს პრეზენტაციები ორგანიზაციებში ფართო მასებისთვის, რათა მოსახლეობამ პროგრამის და მისი მნიშვნელობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მიიღოს. ძირითადად ისეთ ორგანიზაციებს ვარჩევთ, სადაც ბევრი ხალხი ტრიალებს. ორი მიმართულებით ვარჩევთ: ერთი, სადაც თვითონ არიან პოტენციური მოსარგებლეები პროგრამის და მეორე, თვითონ ხდებიან ინფორმაციის გამავრცელებლები, მაგალითად, ყველა გამგეობაში ჩატარდა მსგავსი ტიპის პრეზენტაცია, დარიგდა ფლაერები და თვითონ თანამშრომლებმა იციან, რა არის სკრინინგ პროგრამა. ნებისმიერი სხვა თემით მიმართული პაციენტი ამ ორგანიზაციაში უკვე ინფორმირებული ხდება ჩვენი პროგრამის შესახებ.

ესაუბრა
ალა ისპირიანი

თბილისის „საფესტივალო ქალაქად“ გადასაქცევად 16 მილიონია გამოყოფილი

თბილისის საფესტივალო ქალაქად გადაქცევის მიზნით მიმდინარე წელს ბიუჯეტიდან 16 მილიონი ლარია გამოყოფილი და მოხმარდება დედაქალაქში ინფრასტრუქტურული და ტექნიკური პრობლემების მოგვარებას. თემაზე თბილისის მერის მოადგილემ სოფიო ხუნწარიამ გადასცემა „საქმიან დილაში“ ისაუბრა და აღნიშნა, რომ იგეგმება მასშტაბური სცენებისა და სააფიშე ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც დღესდღეობით ქალაქში არ არსებობს.

„16 მილიონ ლარში შედის სახელოვნებო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რომელთა რაოდენობა ათს უტოლდება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ექვს სკოლაში სარემონტო სამუშაოები, ორი სკოლა წლის ბოლომდე სარემონტოდ ჩაეშვება, ორი სკოლა კი უკვე დასრულებულია. ასევე იგეგმება მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაცია, რომლისთვისაც 8 მილიონი ლარია გამოყოფილი. საუბარია, ასევე ბიბლიოთეკების, წიგნების საცავებისა და მუზეუმების მოწესრიგებაზე. რამდენიმე მათგანი უკვე დასრულდა, წლის ბოლომდე კი, გალაკტიონ ტაბიძისა და შიო არაგვისპირელის მუზეუმის დასრულება უნდა მოესწროს,“-აღნიშნა სოფიო ხუნწარიამ.

თბილისის მერის მოადგილის თქმით, მომავალ წელს ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის სრული რესტავრაცია-რეაბილიტაციაც იგეგმება. ასევე მოეწყობა სახელოვნებო სივრცე მტკვრის ჭალებში იმისათვის, რომ უკეთ დავინახოთ, რა სარგებელი შეიძლება მოგვიტანოს მტკვარმა და პირიქით.

შეგახსენებთ, რომ თბილისის მერის მოადგილე სოფიო ხუნწარიამ თბილისის საფესტივალო ქალაქად გადაქცევის შესახებ კულტურის პოლიტიკის პრეზენტაციის დროს ისაუბრა და მანვე ხაზი გაუსვა საფესტივალო სივრცეებთან დაკავშირებულ პრობლემებს და აღნიშნა, რომ იგეგმება ღია სცენების და სააფიშე სივრცეების მოწყობა. მისივე თქმით, მომავალ წელს თბილისს ექნება კულტურის დოკუმენტი თავისი სამოქმედო გეგმით.

თბილისში მანქანები ბოძებზე შეაყენეს: ვინ დგას კამპანიის უკან?!

დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ადგილზე ბოძებზე შეყენებული მანქანები იპოვეს. აქციას სოციალურ ქსელში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა, თუმცა კამპანიის ავტორი ამ ეტაპზე უცნობია.

კომპანიას არ ასახელებენ თბილისის მერიაშიც. მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ ღონისძიების ავტორი კერძო კომპანიაა.

„აქცია შეთანხმებული იყო მერიასთან. ეს არის კომპანიის ერთგვარი აქცია და მათი თხოვნაა, რომ არ დავასახელოთ მისი სახელწოდება. თავად იტყვიან რამდენიმე დღეში, თუ რის ფარგლებში ტარდება ეს აქცია“,– განუცხადეს „აქცენტს“ თბილისის მერიაში.

თბილისის საკრებულოს წევრ შალვა ოგბაიძის განცხადებით, აქცია ერთგვარი შოკურ-სოციალური კამპანიაა, რომლის მიზანიც საკითხზე დისკუსიის დაწყებას გულისხმობს და რადგან მან საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, შეიძლება ითქვას, რომ მიზანიც მიღწეულია.

„საერთოდ ასეთი აქციების მიზანია, საჯარო დისკუსია გამოიწვიოს. მსგავსი ტიპის გამოცდილება არსებობს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში – ევროპაში: დამტვრეულ მანქანებს ალაგებენ, რომ ჩვენში ერთგვარი შინაგანი განწყობა გააჩინოს – სიჩქარის ლიმიტი სწორად შევარჩიოთ, საჭესთან ყოფნის დროს ტელეფონზე არ „ვიმესიჯოთ“, საჭეს არაფხიზელ მდგომარეობაში არ მივუსხდეთ და ა.შ.“, – განუცხადა „აქცენტს“ ოგბაიძემ.

სოციალური ქსელის მომხმარებლებისგან განსხვავებით ინიციატივას დადებითი შეფასება მოჰყვა „ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ წარმომადგენლის ეკა ლალიაშვილის მხრიდან:

„ძალიან კარგი წამოწყებაა, ვისი ინიციატივაც არ უნდა იყოს, მივესალმებით კამპანიებს, რომელიც მოგვიწოდებს გზებზე სიფრთხილისკენ და უსაფრთხოებისკენ! საქართველოშიც რომ შემოდის ამგვარი მიდგომა პროგრესია!“

ევროპულ ქვეყნებში მსგავსი აქციები, რომელსაც საგზაო უსაფრთხოების კამპანიას უწოდებენ, პერიოდულად იმართება და ძირითადად, მათ იმ ქვეყნის მთავრობები უზრუნველყოფენ, სადაც კამპანია იმართება. კამპანიის ფარგლებში ავტომანქანებს პოლიციის განყოფილების წინ და მაგისტრალებზე ანთავსებენ.

ცნობისთვის: 2018 წელს საქართველოს მასშტაბით 6,452 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რასაც 459 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო 9,047 დაშავდა. დაიღუპა 21 მოზარდი (16 წლამდე), მათ შორის 8 ქვეითი, ხოლო დაშავდა 1012 მოზარდი, მათ შორის 343 ქვეითი.

2017 წელთან შედარებით 2018 წელს ავტოავარიების რაოდენობა 6%-ით, დაშავებულთა რაოდენობა 7%-ით გაიზარდა. დაღუპულთა რაოდენობა 11%-ით შემცირდა.

◎ ფორუმი ზღვისპირეთში

„ვერცხლიც“, „ბრინჯაოც“

ქართველი ძალოსანი გოგა ჩხეიძე (67 კგ.) ბათუმში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გახდა ორჭიდში, აკვრაში კი მე-2 შედეგით მცირე „ვერცხლს“ დაეუფლა.

მან ატაცში სამივე მისვლა (132, 136 და 139 კგ.) გამოიყენა და 23- წლამდელთა შორის ევროპის ახალი რეკორდის მფლობელიც გახდა, თუმცა, მხოლოდ მე-4 პოზიცია ერგო. ქართველი ძალოსანი აკვრაში 165 და 169 კილოგრამიან შტანგას გაუმკლავდა და ბოლოს 173 კგ-იც რომ აეწია, იქნებ, ევროპის ჩემპიონიც გამხდარიყო, ისე კი ჯამური 308 კგ-ით მე-3 ადგილი დაიკავა.

ევროპირველობის ტრიუმფატორი ფრანგი ბერნარდინ კინგე მატამი (312 კგ.) გახდა, ხოლო„ვერცხლს“ გერმანელი სიმონ ბრანდჰუბერი (311 კგ.) დაეუფლა.

აღნიშნულ წონაში უმთავრეს ფავორიტად გათურქებული ბულგარელი დანიიარ ისმაილოვი მიიჩნეოდა, რომელმაც ატაცში 147 კგ-ით მცირე „ოქრო“ მოიგო, მაგრამ აკვრაში ვერცერთი ცდა ვერ გამოიყენა და ჩათვლის გარეშე დარჩა.

კობა კობახიძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

უფრთხილდით მეკარეებს!

პენალტი რატომღაც ასპროცენტიან სასჯელადაა მიჩნეული, მაგრამ ფეხბურთის ისტორია მრავალ საპირისპირო ფაქტს ინახავს — თერთმეტმეტრიანი საჯარიმოების ზოგ დამრტყმელს ოსტატობა ღალატობს, ზოგსაც — იღბალი ან ფსიქოლოგია.

ამ დროს ცოტა თუ აღიარებს მეკარეთა ფაქტორს, რომლებსაც დუელის მოსაგებად გაცილებით მცირე შანსი აქვთ ოპონენტთან შედარებით, მაგრამ იშვიათად როდი ახერხებენ პარტნიორთა გადარჩენას.

ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული გახლავთ ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონი უგო ლორისი, ვინც შარშან სამჯერ იხსნა „ტოტენჰემი“, ხოლო ამჯერად თავისი კლუბის ახალ სტადიონზე ივაჟკაცა და „მანჩესტერ სიტის“ არგენტინელი ბომბარდირი სერხიო აგუერო დაამწუხრა.

აღნიშნულმა ეპიზოდმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური რაუნდის შედეგი — „მამლებმა“ მშვენივრად ისარგებლეს თანამემამულეთა შეტევების ლიდერის „იაღლიშით“ და 78-ე წუთზე სონის მიერ „ცაციათი“ გატანილი ბურთით ღირსეული გამარჯვება მოიპოვეს — 1:0.

შეგახსენებთ, რომ სწორედ ამ კორეელმა მიითვალა ამას წინათ პრემიერლიგაში „კრისტალ პალასის“ წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაში ბრწყინვალე სარბიელის სადებიუტო გოლიც, თუმცა, მაურისიო პოჩეტინოს გუნდს გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტის

ძლევა საკმაოდ ძვირი დაუჯდა, რადგან მძიმე ტრავმა მიიღო ლონდონელთა კაპიტანმა ჰარი კეინმა.

მან ბრძოლის ველი ყავარჯნებით დატოვა და მატჩის შემდეგ გავრცელებული წინასწარი ინფორმაციის თანახმად, დიდი ალბათობით, სეზონი უკვე დაასრულა.

სხვათა შორის, გასულ წელს ხოსეპ გვარდიოლას შეგირდები ამავე ეტაპზე „ლივერპულმა“ გააწბილა და არაა გამორიცხული, მათთვის მიმდინარე ტურნირშიც ინგლისური ჯახი აღმოჩნდეს საბედისწერო — ყველაფერი ერთ კვირაში დანიშნული საპასუხო თამაშის შემდეგ გაირკვევა.

რაც შეეხება მერსისაიდელებს, მათ საწყის ნახევარ საათში უპრობლემოდ დააშამათეს „პორტუ“ — 2:0 (კეიტა, ფირმინო) და ცალი ფეხით ნახევარფინალში შეაბიჯეს.

გიორგი ზოთაძე

◎ ოკეანის გაღმა

მართლაც საოცრებაა

„ჰიუსტონმა“ „ფინიქსთან“ 149:113 მოგებულ შეხვედრაში 27 სამქულიანი ჩააგდო, რაც ნბა-ს ყველა დროის რეკორდია. ტეხასელებმა პერიმეტრიდან სულ 57-ჯერ გაისროლეს. წინა რეკორდი — 26 ზუსტი სამქულიანიც „ჰიუსტონს“ ეკუთვნოდა, რომელიც წინა სეზონში დაამყარა.

გორდონმა 7 სამქულიანი ჩააგდო, ჰარდენმა — 5, ტაკერმა — 4, დანიელ ჯუნიორმა და პოლმა — 3-3 , კლარკმა და რივერსმა — 2-2, შამპერტმა — 1.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ მედლები ხალიჩიდან



ქართული „დუბლი“

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრებმა ნიკა კენჭაძემ (79 კგ.) და ელიზბარ ოდიკაძემ (97 კგ). რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

კენჭაძემ მე-3 ადგილისთვის შერკინებაში ბელარუსი ანდრეი კარპაჩი 7:1 დაამარცხა (მანამდე რეპეშაჟში გერმანელ ფრანკო მარიო ბიუტნერს 7:2 სძლია), ხოლო ოდიკაძემ მოლდოველ ნიკოლაი ჩებანს 3:0 მოუგო.



ფინიშზე მედლები დარჩენილ ხუთ წონით კატეგორიაში გათამაშდება და ქართველ ფალავნებს 4 ჯილდოს აღების შანსი აქვთ.

ფინალში იჭიდავებენ ბექა ლომთაძე (61 კგ.) და გენო პეტრიაშვილი (125 კგ.). ლომთაძემ გზიდან მაკედონიელი ელმედინ სეიფულაუ (10:0) და შვეიცარიელი რენდი ადრიან ვოკი (10:0) ჩამოიცილა, გადამწყვეტ შეხვედრაში კი მისი მეტოქე სომეხი არსენ არუთინიანი იქნება.

პეტრიაშვილმა ფინალამდე შემდეგ ტრიოს აჯობა: უნგრელ დანიელ ლიგეტის (7:4), პოლონელ რობერტ ბარანსა (10:2) და უკრაინელ ოლექსანდრ ხოციანოვსკის (3:2). ქართველი მოჭიდავე ოქროს მედლისთვის პრინციპულ ბრძოლაში ტაჰა აკგულს (თურქეთი) დაუპირისპირდება.

„ბრინჯაოსთვის“ რუს მაგომედ კყურბანოვს შეერკინება ირაკლი მწითური (92 კგ.), რომელიც ნახევარფინალში აზერბაიჯანელ შარიფ შარიფოვთან 2:8 დამარცხდა, ხოლო მანამდე რუმინელ ადრიან რეკორეანს 7:0 სძლია.

რეპეშაჟშია გადართული ავთანდილ კენჭაძე (74 კგ.), ვინც სომეხ ვარუჟან კაჯოიანსა და თურქ იაკუპ გორს 10:0 აგემა, მეოთხედფინალი კი, დასანანად, 3:3-ზე დათმო საფრანგეთის სახელით მოასპარეზე ზელიმხან ხაჯიევთან.

„ჯვაროსანი“ ავსტრიელ სიმონ მარჩლსა და ესტონელ აიმარ ანდრუსესთან უმჯობესს გაეჯიბრება და თუკი იმარჯვა, ბრინჯაოს მედლისთვის ჭიდილი უკრაინელ ვასილ მიხაილოვთან მოუწევს.

ბეჭან დოლიძე

◎ ჯილდოები ტატამიდან

შესანიშნავი შვიდეული

ქართველმა ძიუდოისტებმა ჩეხეთის ქალაქ ტეპლიცეში გამართულ კადეტთა ევროპის თასზე 2 ოქროს, 2 ვერცხლის, 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და ვაჟთა გუნდურ ჩათვლაში, აზერბაიჯანის კვალად, მე-2 ადგილი დაიკავეს.



კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე გიორგი ტერაშვილი (66 კგ.) და გიგა ტატიაშვილი (+90 კგ.) ავიდნენ, ვერცხლის ჯილდოებს კაკო ჩაპურიშვილი (50 კგ.) და აკაკი ჯაფარიძე (81 კგ.) დაეუფლნენ, „ბრინჯაოები“ კი ნიკა ბაჩიაშვილმა (50 კგ.), გიზო გუგუნაშვილმა (90 კგ.) და ირაკლი დემეტრაშვილმა (+90 კგ.) აიღეს.

საინტერესოა, რომ საქართველოს კადეტ ძიუდოისტთა ნაკრები პრესტიჟულ ტურნირზე ერთბაშად 25 სპორტსმენით იყო წარდგენილი.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

იქნებ შურით?!

ბედი არ ჰქონია ბრაზილიელ წყალში მხტომელ ინგრიდ ოლივეირას, რომელმაც რიო დე ჟანეიროს შარშანდელ ზაფხულის ოლიმპიადაზე საკუთარ ნომერში სატრფო შეაპარა და მას შემდეგ ეს ამბავი იქაურ ბულვარულ მედიას, რომ იტყვიან, გააქვს და გამოაქვს.

გოგონა ამბობს, რომ იგი ბულინგის მსხვერპლია, რადგან გასაოცარი და სამარცხვინო არაფერი ჩაუდენია მაშინ, როდესაც თამაშებზე სპორსტმენებს შორის სექსი ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მოვლენა იყო და რატომღაც მაინცდამაინც მის წინააღმდეგ ხორციელდება შეტევა და ქილიკის ნიაღვარი.

რაც შეეხება ინგრიდის იმჟამინდელ კუროს, იგი თანამემამულე წყალში მხტომელ მამაკაცთა ნაკრების კაპიტანი პედრო გონსალვეში იყო, რომელზეც ქალებს ტვინი ეკეტებათ და არაა გამორიცხული, რომ მავანი დიაცნი სექსმოყვარე ოლივეირას მარტივი გრძნობის — შურის გამოც უპირისპირდებოდნენ.

როსტომ რაჭველიშვილი

ფერიდე კვაჭანტირაძე

გარდაიცვალა ქართული წიგნის დიდი მოამაგე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების დამაარსებელი და 40 წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელი **ფერიდე კვაჭანტირაძე.**

2017 წელს ეროვნულ ბიბლიოთეკაში ქალბატონი ფერიდეს ინიციატივით იშვიათ გამოცემათა განყოფილების ბაზაზე დაარსდა წიგნის მუზეუმი, სადაც ქართული ძველნაბეჭდი გამოცემების ყველაზე სრულყოფილი და ექსკლუზიური კოლექციაა დაცული. ექსპონატების უმეტესი ნაწილი პირადად ქალბატონი ფერიდეს მოძიებულია იმ პერიოდში, როდესაც მათი შეძენა ბუკინისტურ მაღაზიებში აკრძალული იყო და სხვადასხვა ფონდიდან იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში გადმოტანაც არ იყო რეკომენდებული. ქალბატონი ფერიდე ბიბლიოთეკის პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელის მითითებით, არაერთხელ იყო წარდგენილი დირექციის წინაშე „საბჭოთა მოქალაქეთათვის მიუღებელი ლიტერატურით იშვიათ გამოცემათა ფონდის დანაგვიანების“ ბრალდებით. მიუხედავად ამისა, იგი მაინც განაგრძობდა ვახტანგ მეექვსის, ერეკლე მეორის, ბაქარის, საჩხერის, ქუთაისის სამეფო სტამბათა გამოცემების მოძიებასა და რარიტეტულ გამოცემათა სეიფში გადატანას. თვითონაც ამ უჰაერო სეიფში მუშაობდა.

ქალბატონ ფერიდეს აღელვებდა არა მარტო იშვიათ გამოცემათა განყოფილების პრობლემები, არამედ მთლიანად ეროვნული ბიბლიოთეკის და მეტიც, ქართული წიგნის მომავალი. მისი სამსახურებრივი ნუსხა სრულად ვერ ასახავს იმ ღვაწლს, რომელიც ამ სუსტი აღნაგობის ქალბატონმა საქართველოსა და ქართული წიგნისთვის გაიღო.

1965 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ფერიდე კვაჭანტირაძემ მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში. 1975 წლიდან სათავეში ჩაუდგა იშვიათ გამოცემათა ფონდს, რომელიც შემდგომ მისი აქტიური ჩარევით ცალკე განყოფილებად ჩამოყალიბდა. უნდა აღინიშნოს, რომ სსრკ რესპუბლიკების საჯარო ბიბლიოთეკებში, იმ პერიოდში იშვიათ გამოცემათა განყოფილებები ცალკე არ არსებობდა. საქართველოში ასეთი პრეცენდენტის დაშვების მოთხოვნა მაშინდელი საჯარო ბიბლიოთეკის დირექციისათვის ადვილი არ იყო. ქალბატონმა ფერიდემ კულტურის სამინისტროში მაშინ ღირსეულად დაიცვა ეს ინიციატივა.

2013 წლიდან კვლავ ქალბატონი ფერიდეს ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით დაიწყო წიგნის მუზეუმის შექმნა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რითაც ხორცი შეესხა მისი დიდი ხნის ოცნებას.

შექმნა კიდეც. მისივე სურვილით, მუზეუმს ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი ჩაუდგა სათავეში, თვითონ კი ახალი საქმე ითავა - საქართველოს დეპოზიტარულ ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ძველნაბეჭდი გამოცემებისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭება, რომელსაც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის და ეროვნული ბიბლიოთეკის ერთობლივი პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელის სტატუსით უძღვებოდა. მისი თაოსნობით აღიწერა ქართული ძველნაბეჭდი გამოცემები, მომზადდა და გამოიცა მისი კატალოგის ორტომეული; ცალკე წიგნად დაიბეჭდა ვახტანგ მეექვსის სტამბის გამოცემათა აღწერილობა; საკუთარი სახსრებით აღადგინა და გამოსცა გრიგოლ ტატიშვილის ანბანის გასაფერადებელი რვეული ბავშვებისათვის; იყო ავტორი და რედაქტორი არაერთი სამეცნიერო სტატიისა; გასული საუკუნის სამოციან წლებში მონაწილეობდა საჯარო ბიბლიოთეკის უდიდეს პროექტში, რომელსაც ლეგენდარული ბიბლიოგრაფი ქალი თამარ მაჭავარიანი ხელმძღვანელობდა და რომლის ფარგლებშიც მომზადდა მეცხრამეტე საუკუნის ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია; მისი თანაავტორობით გამოიცა რევოლუციამდელი ქართული საბავშვო გამოცემების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიაც.

ქართული წიგნის კვლევის საქმეში გაწეული განსაკუთრებული ღვაწლის გამო, 2019 წლის 8 მარტს ქალბატონ ფერიდეს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის განკარგულებით საუკუნის ბიბლიოთეკარის წოდება მიენიჭა.

მისი გარდაცვალებით ეროვნული ბიბლიოთეკის ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი თავი დასრულდა, თავი, რომელსაც აწ უკვე ლეგენდად ქცეული სახელი ჰქვია — ფერიდე კვაჭანტირაძე.

ზაზა აბაშიძე, გიორგი კეკელიძე, მირიან ხოსიტაშვილი, ლევან თაძთაძიშვილი, თეონა იაშვილი, რუსუდან კობახიძე, რუსუდან შარაძე, გუგა კუდავა, ნიკო ჯავახიშვილი, როინ მეტრეველი, ემზარ ჯგერენაია, მერაბ ვეკუა, სოფიო გელუკაშვილი-მოსია, ლევან ბერძენიშვილი, თამაზ ჯოლოგუა, გორის გაგუა, ალექსანდრე კარტოზია, ლალი კაკულია, თინა ლომჯარია, ტარიელ ფუტკარაძე, ზურაბ გაიპარაშვილი, ირაკლი ღარიბაშვილი, რუსუდან ასათიანი, ლაშა ბაძრაძე, ირაკლი იაკობაშვილი, ნუკრი გაღდავაძე, რუსუდან დაუშვილი, გია გერაძე, ნომადი გართაია, თეიმურაზ გვანცელაძე, გიორგი მამულია, ოთარ ჯანელიძე, მანანა მანჯგალაძე, გიორგი კალანდია, ჯაბა სამუშია, მიხეილ ძავთარია, კობა იმედაშვილი, ციური კოჭლაშვილი.

შეუვსებელი დანაკლისი

აკადემიკოს ნოდარ კეკელიძის ხსოვნას

ქართველ მეცნიერთა რიგებს გამოაკლდა თვალსაჩინო მეცნიერი-ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე **ნოდარ კეკელიძე.**

აკადემიკოსი ნოდარ კეკელიძე დაიბადა 1930 წლის 15 აპრილს. 1950 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის მე-8 ვაჟთა საშუალო სკოლა, ხოლო 1955 წელს წარჩინებით — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. ასპირანტურის კურსი გაიარა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პეტრე ლებედევის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში და იქვე, 1962 წელს, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ნახევარგამტარებისა და დიელექტრიკების ფიზიკის სპეციალობით. ამავე სპეციალობით, 1977 წელს, ნოვოსიბირსკში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ნახევარგამტარების ფიზიკის ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1984 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

ფართო და მრავალმხრივი იყო აკად. ნ. კეკელიძის სამეცნიერო ინტერესების სფერო, რომელიც მოიცავდა ნახევარგამტარების და მყარი სხეულების ფიზიკას, ტექნოლოგიას, ელექტრონიკას, მასალათმცოდნეობას, რადიაციულ ფიზიკას, მაღალტემპერატურულ ზეგამტარობას, ფიზიკურ მეთოდებს ეკოლოგიაში. ამ მიმართულებებით მას გამოქვეყნებული აქვს 9 მონოგრაფია, 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი მაღალი ციტირების ინდექსით, მიღებული აქვს 20-ზე მეტი პატენტი და სალიცენზიო მოწმობა.

აკად. ნოდარ კეკელიძის შთამბეჭდავ სამეცნიერო მიღწევათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიკრო და ოპტოელექტრონიკისათვის, მათ შორის კოსმოსის კვლევებისათვის აქტუალურ მასალებში InAs-InP მყარ ხსნარებში კრისტალური მესერის ე.წ. ორმოდიანი რხევის მოვლენის აღმოჩენა, რამაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა საერთაშორისო პუბლიკაციებში. მიღებული შედეგები ორჯერ იქნა დადასტურებული ოქსფორდის კლარენდონის ლაბორატორიაში და საკლეს ბირთვული კვლევების ცენტრში, ისევე როგორც დარგის წამყვანი 50-მდე მეცნიერის ნაშრომებში. ბატონი ნოდარის ნაშრომების ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ნახევარგამტარებში რადიაციული მოვლენების გამოკვლევას, რომლის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია, შეიქმნას რადიაციულად მდგრადი ხელსაწყოები. მიღებული ნიმუშები სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „დელტას“ ეგიდით წარმატებით იქნა დემონსტრირებული საერთაშორისო გამოფენაზე პოლონეთში.

1958 წლიდან ნ. კეკელიძე მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში როგორც მეცნიერი, პედაგოგი და მეცნიერების ბრწყინვალე ორგანიზატორი. წლების განმავლობაში იყო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში. მის სახელთანაა დაკავშირებული უნივერსიტეტისათვის განხორციელებული არაერთი სასიკეთო საქმე. ნ. კეკელიძემ უნივერსიტეტში დააარსა ახალი მასალების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია და მყარი სხეულების რადიაციული ფიზიკის პრობლემური ლაბორატორია, ჩამოაყალიბა ზეგამტარებისა და ნახევარგამტარების კათედრა.

ბ-ნი ნოდარი მუშაობდა აგრეთვე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში, სოხუმის ი. ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, ხოლო 2009 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორიას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პერიოდი აღმოჩნდა მეტად ნაყოფიერი ახალი ფიზიკური მოვლენების აღმოჩენისა და ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით.

ბატონი ნოდარი იყო შესანიშნავი პედაგოგი, 1961 წლიდან კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, უხელმძღვანელა რამდენიმე ათეულ საკურსო, სადიპლომო, სამაგისტრო ნაშრომს. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 22 საკანდიდატო დისერტაცია. იგი არის ყოფილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლებისათვის გათვალისწინებული, ნახევარგამტართა რადიაციული ფიზიკის დარგში პირველი სახელმძღვანელოს თანაავტორი (ვ. ვავილოვთან და ლ. სმირნოვთან ერთად, გამომცემლობა „ნაუკა“). მიღებული აქვს რესპუბლიკური და საკავშირო ჯილდოები და სიგელები ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

ბატონმა ნოდარმა არაერთი სხვა ჯილდო და პრემია დაიმსახურა თავისი მრავალწლიანი, უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობის მანძილზე: ლაიფციგის გამოფენის დიდი ოქროს მედალი (1970), პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია (1990), სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის უმაღლესი ჯილდო და მედლები, ივანე ჯავახიშვილის მედალი და სხვ. მას ორჯერ მიანიჭეს ღირსების ორდენი.

ბატონი ნოდარი სიცოცხლის ბოლომდე გასაოცარი ენერგიით, დაუღალავად და ნაყოფიერად იღვწოდა მეცნიერების სარბიელზე. საკმარისია ითქვას, რომ ბოლო 10 წელიწადში გამოაქვეყნა 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათგან 30 იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში. მას მოპოვებული ჰქონდა 21 საერთაშორისო და ეროვნული გრანტი, რომელთა დაფინანსებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა საერთაშორისო სტანდარტების დონეზე მომუშავე უნიკალური ანალიტიკური ლაბორატორია, რომლის ბაზაზე შექმნილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (საზოგადოებრივ საწყისებზე) იყო სიცოცხლის ბოლომდე.

ბატონი ნოდარ კეკელიძის მოღვაწეობამ ძალზე მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის საქმიანობაში, ხოლო მისი გარდაცვალება ინსტიტუტისთვის, ისევე როგორც მთელი ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის, შეუვსებელი დანაკლისია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ აკადემიკოს ნოდარ კეკელიძის გარდაცვალების გამო და გულწრფელად უსამძიმრებენ მის შესანიშნავ ოჯახს ძვირფასი ადამიანის დაკარგვის გამო.

აკადემიკოს ნოდარ კეკელიძის - ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი მეცნიერისა და პიროვნების ნათელი სახე მუდამ დარჩება მისი კოლეგების გულებში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება,
ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

შვილები გიორგი, თეა, მაკა, ძმისშვილები ირაკლი, დათო კეკელიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აკადემიკოსი

ნოდარ კეკელიძე

პანაშვიდი: 12 აპრილს, პარასკევს, 17.00 საათიდან; მისამართი: კეკელიძის ქუჩა№25 (ჟვანიას ქუჩის მხრიდან), მეცხრე სადარბაზო, მე-7 სართული;

გამოსვენება: 13 აპრილს, შაბათს, 14 საათზე სიონის საკათედრო ტაძრიდან.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

დიმიტრი თუმანიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნაპოლეონ ქარქაშაძის ოჯახი თანაუგრძნობს ჯუმბერ სახელაშვილს მეუღლის, შესანიშნავი ქალბატონის

ნანას

გარდაცვალების გამო.

ნოდარ შარტავა, კარლო შანავა, მურმან ჩაკაბერია, ვლადიმერ გოგსაძე, კალისტრატე ცენტერაძე თანაუგრძნობენ მერაბ კვარაცხელიას ძმის, ბატონი

მელორი კვარაცხელიას

გარდაცვალების გამო.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნორმალური ანატომიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი, პროფესორი

ასმათ შუკაკიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დემურ გადელია, ვიტალი ხაზარაძე, პეტრე ბერაია, ბესო კილასონია, თენგიზ კალანდაძე, ჯამბულ წულაია, ალანი თოდუა, ტიტიკო კაკულია, საველი მარსაგიშვილი, ელიზბარ ლომინაძე, გურამ გუნავა, თემურ კალანდაძე თანაუგრძნობენ რევაზ კაკულიას

მეუღლის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თბილისი წიგნის XXI საერთაშორისო ფესტივალს უმასპინძლებს

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით 2019 წლის 30 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით თბილისის წიგნის XXI საერთაშორისო ფესტივალი გაიმართება, რომელსაც ფესტივალის ისტორიაში პირველად, 30 მაისს, მსოფლიო საგამომცემლო სივრცის უმაღლესი რანგის პირი, ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გამომცემელი, გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტი ჰიუგო ზეტცერი გახსნის.

თბილისს ჰიუგო ზეტცერთან ერთად ეწვევა გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის (IPA) უმაღლესი რანგის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ხოსე ბორგინო – გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, ვილმარ დიპგრონდი – სახელმძღვანელოების გამომცემელთა მსოფლიო ფორუმის თავმჯდომარე, ჯაუმე ვიცენსი – სახელმძღვანელოების გამომცემელთა მსოფლიო ფორუმის თავმჯდომარის მოადგილე.

გამომცემელთა მსოფლიო ასოციაციის დელეგაციის მონაწილეობით, ფესტივალის ფარგლებში, ქართველ საგამომცემლო პროფესიონალებთან ერთად იგეგმება ერთდღიანი კონფერენცია, რომელზეც განხილული იქნება ქართული თუ მსოფლიო საგამომცემლო სფეროს ყველაზე აქტუალური საკითხები: სიტყვისა და გამოცემის თავისუფლება, საავტორო უფლებები, სასკოლო სახელმძღვანელოების საკითხი.

შეგახსენებთ, რომ გამომცემელთა მსოფლიო ასოციაცია (IPA), რომელიც 1896 წელს პარიზში დაფუძნდა და რომლის სათაო ოფისი ამჟამად ჟენევაში, შვეიცარიაში მდებარეობს, მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ორგანიზაციაა, რომელიც ლობირებს და იცავს საგამომცემლო სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებისა და კერძო პირების უფლებებს და 70 ქვეყნის 80-ზე მეტ ორგანიზაციას აერთიანებს აფრიკიდან, აზიიდან, ავსტრალიიდან, ევროპიდან და ამერიკიდან.

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

თბილისთან საჭვირთო ავტომობილი ამობრუნდა

შემთხვევის შედეგად დაშავდა ერთი პირი, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც გულისხმობს ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

პროკურატურასთან მამაკაცმა თავის დაწვა სცადა

მთავარ პროკურატურასთან მამაკაცმა პროტესტის ნიშნად ბენზინი გადაისხა და თავის დაწვა სცადა.

გავრცელებული ინფორმაციით, ეს მამაკაცი 33 წლის ლევან ჯიქურია.

მამაკაცის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო და სამართლადამცავები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ტარიელ ონიანი კვლავ საპატიმროში რჩება



ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტი ტარიელ ონიანი „ტარო“ ციხიდან გამოსვლისთანავე დააკავეს. ამჯერად, 40 დღით. ამის შესახებ მედიას სოლილეკის სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწემ ლინიზეც შევჩიკმა განუცხადა.

მისი თქმით, ონიანის კვლავ დაკავების მიზეზი ესპანეთის პოლიციის მიერ მასზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადება გახდა. ონიანს ფულის გათეთრებას ედავებიან.

ტარიელ ონიანი საპატიმროს 19 მაისს დატოვებს.

„ბათუმობა 2019“ 28 აპრილს გაიმართება

როგორც ბათუმის მერიაში განმარტავენ, თარიღი უკავშირდება ბათუმისათვის ქალაქის სტატუსის მინიჭებას. 1885 წელს ბათუმის 90-მა მცხოვრებმა წერილობით მიმართა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის უფროსს, ბათუმისათვის ქალაქის სტატუსის მინიჭების თაობაზე. 1888 წლის 28 აპრილს ბათუმს ქალაქის სტატუსი მიენიჭა.

ღონისძიებები წელს ბათუმის ბულვარში 28 აპრილის 12:00-დან 29 აპრილის 02:00 საათამდე გაიმართება.

დახმარების მსურველთა საყურადღებოდ!

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6893; ევრო - 3.0236;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5103;
100 რუბლი - 4.1202; თურქული ლირა - 0.4732;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5818;
1000 სომხური დრამი - 5.5131.

ამინდი 11 აპრილისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +9, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +4, დღე +22
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +9, დღე +23
მთიანი რაიონები - ღამე +4, დღე +21
თბილისი: ღამე +10, დღე +21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge